www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი 21 აგვისტო, 2009 წელი. №184 (2222) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიჭური ნომერი
*2424

საპრეზიდენტო არჩევნები ავღანეთში
A4



ნათელა ნიკონოვა - დაბრუნება ირანიდან
A5



კუპერმა შემადგენლობა გამოამზეურა
A6



24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# დიალოგის პირველი შედეგი

დათო გამისონია

*ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის გამართულმა მოლაპარაკებებმა შედეგი გამოიღო. მას შემდეგ, რაც შსს-ში "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერებმა დაკავებულ აქტივისტთა სია წარადგინეს, ერთ კვირში 10 დაკავებულის გათავისუფლების შესახებ მიიღეს გადაწყვეტილება.*

ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მიმდინარე მოლაპარაკებებს თანდათან საქმიანი ურთიერთობების სახე მიეცა. შსს-ს ახალ შენობაში მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, ოპოზიციის წარმომადგენლები ამა თუ იმ საკითხის გასარკვევად სისტემატურად უკავშირდებიან სამართალდამცავი უწყების საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსს შოთა უტიაშვილს. სწორედ ამიტომ, ის მორიგი შეხვედრის გამართვაზე უფრო დიდ მნიშვნელობას მიმდინარე პროცესს ანიჭებს. **"შეხვედრა შეხვედრისთვის არ უნდა გაიმართოს. მთავარია, ხელისუფლბა და ოპოზიცია ყოველდღიურად ეკონტაქტებიან ერთმანეთს. ხოლო, თუ საჭირო იქნება, ერთობლივი კომისიის შექმნაც არ არის გამორიცხული,"** - განუცხადა "24 საათს" უტიაშვილმა. მიმდინარე პროცესი დადებითად შეაფასა "ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატების" ერთ-ერთმა ლიდერმა ვიქტორ დოლიძემ. "24 საათთან" საუბარში მან აღნიშნა, რომ **"თავისუფლდებიან პოლიტიკური დევნილები. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით მხოლოდ ათი მოქალაქის გათავისუფლების შესახებ არის გადაწყვეტილება მიღებული, არსებული შედეგი უკვე დიდი წარმატებაა."**

გაგრძელება A3 გვერდზე

# პარკირების ახალი წესები დედაქალაქში

პარკირების ახალი წესების მიხედვით, დედაქალაქში, სამსახურების წინ გაჩერებულ ავტომანქანებზე შეღავათები არ გავრცელდება.

როგორც კომპანია "სითი პარკის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი გიორგი ჯაფარიძე განმარტავს, გარკვეული შეღავათი იქნება იმ პირებისთვის, რომლებსაც ავტომანქანები საკუთარი სახლის წინ, ფასიანი პარკირების ადგილზე ჰყავთ გაჩერებული და სხვაგან გასაჩერებელი ადგილი არ გააჩნიათ.

"მათ შეუძლიათ, მივიდნენ გამგეობებში და აიღონ ერთწლიანი სპეციალური საშვი, რომლის ღირებულებაც 12 ლარია. ამ საშვის საშუალებით, ავტომანქანის მფლობელებს შეუძლიათ საკუთარ სახლთან სამუშაო დღეებში, საღამოს 7 საათიდან დილის 10 საათამდე მანქანები გააჩერონ უფასოდ, ხოლო უქმე დღეებში - მთელი დღის განმავლობაში. დანარჩენ დროს გაჩერება ფასიანი იქნება და ზონების მიხედვით არსებული წესები გავრცელდება.

გაგრძელება A2 გვერდზე




# აქტივები და რეიტინგები მცირდება

მანანა ვარდიაშვილი

საბანკო სექტორის აქტივები კვლავ მცირდება. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 1 ივლისისთვის კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები 97,2 მილიონი ლარით, 7 მილიარდ 729 მილიონ ლარამდე შემცირდა. შესაბამისად, მცირდება კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების მოცულობაც. 1 ივლისის მონაცემებით, კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდება, წინა თვესთან შედარებით, 36,6 მლნ. ლარით შემცირდა და 5,4 მლრდ. ლარი შეადგინა. აქედან, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 57,3 მლნ. ლარით (4,5 პროცენტით) შემცირდა და 1,2 მლრდ. ლარი შეადგინა, უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხების ოდენობამ კი 20,7 მლნ. ლარით მოიმატა და 4,1 მლრდ. ლარს გადააჭარბა. საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო FITCH REITINGS-ი მიიჩნევს, რომ "უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტების მაღალი წილი ბანკებისთვის საფრთხეს წარმოადგენს".

FITCH REITINGS-მა საქართველოს ექვსი კომერციული ბანკის რეიტინგი შეაფასა. რეიტინგების შედგენისას სააგენტო ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: აქტივების ხარისხი, მთლიან აქტივებში პრობლემური და ვადაგადაცილებული სესხების ოდენობა, უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტების წილი, მომხმარებელთა რაოდენობა და ა.შ.

"თიბისი ბანკის" გრძელვადიანი რეიტინგი B დონიდან B+ დონემდე გაიზარდა. გავლენიანი სარეიტინგო სააგენტო "თიბისი ბანკის" რეიტინგის გაუმჯობესებას ბანკის აქციონერთა სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებებით ხსნის. ამჟამად ბანკის აქციათა 55 პროცენტს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები აკონტროლებენ. FITCH REITINGS-ი მიიჩნევს, რომ ეს ფაქტი ლიკვიდურობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების შესაძლებლობას მნიშვნელოვნად ზრდის. სააგენტო იმასაც აღნიშნავს, რომ "თიბისი ბანკის" აქტივების დაბალი ხარისხი ბანკის საკრედიტო პროფილზე უარყოფითად მოქმედებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

CMYK - 1

## პოლიციის ახალი სამმართველო აბაშაში

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა გუშინ აბაშაში პოლიციის სამმართველოს ახალი ოფისი გახსნა.

პოლიციის ახალი ოფისი შვიდი თვის განმავლობაში შენდებოდა და უახლესი ტექნიკითაა აღჭურვილი.

გუშინვე ვანო მერაბიშვილი რუსეთის ინტერვენციის დროს დაღუპული პოლიციელების ოჯახის წევრებს შეხვდა. ისინი პრეზიდენტის განკარგულებით, ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით დაჯილდოვდნენ. დაჯილდოვდა ასევე ხუთი პოლიციელი, რომლებმაც რუსეთ-საქართველოს ომის დროს განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინეს.

*პირველი*

## მკვლელობა ნაძალადევის რაიონში

ნაძალადევის რაიონში მკვლელობა მოხდა. 20 წლის ბექა მჟავანაძე გულ-მკერდის არეში დანით მიყენებული ოთხი ჭრილობის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა. მკვლელი დანაშაულის ადგილიდან მიიმალა. გავრცელებული ინფორმაციით, დანაშაულის ჩამდენი, სავარაუდოდ, მოკლულის დის ქმარია.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, შვილის გარდაცვალების ამბის გაგების შემდეგ ბექა მჟავანაძის მამამ თავი ჩამოიხრჩო. აღნიშნულ ფაქტებზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

*პირველი*

## ადვოკატები პატიმრის წამებაზე საუბრობენ

ყოფილი პარლამენტარის, ლაერტ ზუბადალაშვილის შვილის, ზურაბ ზუბადალაშვილის მკვლელობაში ერთ-ერთი განსასჯელის თეიმურაზ შარაშენიძის ადვოკატები სასჯელაღსრულების N6 საპყრობილის ადმინისტრაციას და პროკურატურას პატიმრის წამებაში ადანაშაულებენ.

სახალხო დამცველის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე შარაშენიძის ერთ-ერთმა ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა განაცხადა: პატიმარი ალექსანდრე ჭუმბურიძე, რომელიც მისი დაცვის ქვეშ მყოფის მეგობარია, აწამეს რათა შარაშენიძის საწინააღმდეგო ჩვენება მიეცა.

ნიკოლაიშვილის თქმით, N6 საპყრობილეში ალექსანდრე ჭუმბურიძეს შეუგზავნეს პატიმრები ვასილ გოშაძე და გიორგი ყუფარაძე, რომლებმაც აწამეს.

"ალექსანდრე ჭუმბურიძე შარაშენიძის მეგობარია. გარკვეული პერიოდი ისინი ერთ საკანში ისხდნენ. ჩათვალეს, რომ ჭუმბურიძეს შარაშენიძის საწინააღმდეგო ინფორმაცია ჰქონდა, შეუგზავნეს პატიმრები და აწამეს, რათა ცილისმწამებლური ჩვენება მიეცა," - განაცხადა ნიკოლაიშვილმა და აღნიშნა, რომ ჭუმბურიძეზე ზეწოლა ივლისის ბოლოს, ათი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

3 აგვისტოს კი, ჭუმბურიძემ სახალხო დამცველს მიმართა და მის მიმართ განხორციელებულ ზეწოლაზე ახსნა-განმარტება დაწერა.

შარაშენიძე ზურაბ ზუბადალაშვილის მკვლელობაში ერთ-ერთი განსასჯელია. მას ზუბადალაშვილის საქმეზე სამი თვის წინ წაუყენეს ბრალი. შარაშენიძე მსჯავრდებულია სხვა დანაშაულისათვის და 4 წელია სასჯელს იხდის.

*ინტერპრესნიუსი*

## კამბოჯის დროშის ქვეშ მცურავი გემი დააკავეს

სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა ფოთში კამბოჯის დროშის ქვეშ მცურავი გემი "აფროსტარი" დააკავეს, რომელიც სოხუმიდან თურქეთის მიმართულებით მოძრაობდა.

გემზე 255 ტონა შავი ლითონი აღმოჩნდა. ეკიპაჟის შვიდივე წევრი სირიის მოქალაქეა.

დაკავებული გემი სასაზღვრო პოლიციის ნავმისადგომზეა გადაყვანილი. მიმდინარეობს გემის კაპიტნის დაკითხვა, რომელსაც საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის გვერდის ავლით ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლას და ტვირთების გადატანას ედავებიან.

როგორ სასაზღვრო პოლიციაში აცხადებენ, გემისა და მისი ეკიპაჟის შემდგომ ბედს ფოთის საქალაქო სასამრთლო გადაწყვეტს.

*ინტერპრესნიუსი*

# პარკირების ახალი წესები დედაქალაქში

პირველი გვერდიდან

სამსახურებთან პარკირების ადგილებში იგივე წესები არ არსებობს. დგომა ფასიანი იქნება", - აცხადებს კომპანია "სითი პარკის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი გიორგი ჯაფარიძე

მისივე თქმით, დედაქალაქში ამ სისტემის შემოღება იმან განაპირობა, რომ ქუჩები ავტომანქანებით გადაიტვირთა და ქუჩის ორივე მხარეს გაჩერებული ავტომანქანაბი საცობებს ქმნის.

პარკირების ახალი სისტემიდან შემოსული თანხის 60 პროცენტი დედაქალაქის ბიუჯეტში გადაირიცხება, დანარჩენი კი კომპანიას დარჩება.

როგორც "სითი პარკში" აცხადებენ, ფასები დედაქალაქის საკრებულოს მიერ არის დადგენილი. ქალაქში პარკირების ადგილების 70 პროცენტი იქნება 20-თეთრიანი, 22 პროცენტი - 50-თეთრიანი, ხოლო 8 პროცენტი - ერთლარიანი.



*პარკირების წესები გამკაცრდა*

პარკირების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, 1-დან 3 საათამდე ავტომანქანის გაჩერებისთვის მძღოლი 20 ლარით დაჯარიმდება; 3-დან 6 საათამდე დგომის შემთხვევაში - 40 ლარით, ხოლო 9 საათზე მეტი დროით დგომის შემთხვევაში მანქანა გადაყვანილი იქნება სპეციალურ სადგომზე. მანქანის ევაკუატორით გადაყვანის შემთხვევაში - 60 ლარი იქნება გადასახდელი.

"ახალი წესების მიხედვით, დედაქალაქში 10 ათასამდე ფასიანი პარკირების ადგილია გამოყოფილი. შესაძლოა, ეს რაოდნობა გაიზარდოს. ასეთ ადგილებს დედაქალაქის მერია ადგენს. საქართველოსთვის ეს სისტემა ახალია, მაგრამ დროთა განმავლობაში მოსახლეობა ამას შეეგუება", - აცხდაბენ "სითი პარკში".

*საკუთარი ინფორმაცია*

# ეკა ბესელიას შვილი და ძმა დააკავეს

ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, რატი მილორავა, ვალერი კირვალიძე, სერგო ბესელია და როინ ცაგარელი დააკავეს. რატი მილორვა "მოძრაობა ერთიანი საქართველოს" ლიდერის, ეკე ბესელიას შვილია, სერგო ბესელია კი - მისი ძმა.

შს სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულებმა 2009 წლის 19 აგვისტოს ქობულეთში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს დავით ჯაფარიძეს. დაზარალებულის განმარტებით, კონფლიქტი დაიწყო კაფე-ბარ "ელზაში", რა დროსაც მას და მის მეუღლეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ინციდენტი გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში, რის შედეგადაც, ბარის თანამშრომლებმა პოლიცია გამოძახეს.

როგორც შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, ეჭვმიტანილებმა დაკავებისას პოლიციის თანამშრომლებს წინააღმდეგობა გაუწიეს და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლით.

მომხდართან დაკავშირებით "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" პრესსამსახურიმა გაავრცელა სპეციალური განცხადება, სადაც აღნიშნულია: "19 აგვისტოს პოლიტიკური ანგარიშსწორება განხორციელდა ეკა ბესელიას ოჯახის წევრებზე. ეკა ბესელიას შვილი რატი მილორავა და ძმა სერგო ბესელია პოლიციელებმა ქობულეთში დააკავეს. ეს არის ხელისუფლების მხრიდან ძალების დემონსტრირების კიდევ ერთი მაგალითი და "პასუხი", რომელიც განკუთვნილია დაუმორჩილებელი და არამართვადი ოპოზიციისათვის," - ნათქვამია განცხადებაში.

*ინტერპრესნიუსი*

# ლიკვიდირებული სერიული მკვლელი

სამხრეთ კაროლინას შტატში პოლიციელებმა სერიული მკვლელის ლიკვიდაცია შეძლეს. 41 წლის პარტიკ ბერისს, რომელიც ორი თვის წინ, სასჯელის მოხდისგან ვადამე ადრე გაათავისუფლეს, ხუთი ადამიანის მკვლელობა ედება ბრალად.

პატრიკ ბერისმა ციხეში რვა წელი გაატარა. ის ხულიგნობისთვის და ქურდობისთვის იყო გასამართლებული და "კარგი ყოფაქცევისთვის" ვადამდე ადრე გათავისუფლება დაიმსახურა.

პატრიკ ბერისი სამართალდამცველებმა იმ დროს მოკლეს, როცა ის ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში ქურდობის მიზნით იყო შესული. როგორც გაირკვა, პოლიციაში შეტყობინება შევიდა, რომლის ავტორიც ირწმუნებოდა, რომ მის მეზობლად მდებარე საცხოვრებელ სახლში სამი მამაკაცი იყო შეპარული. ადგილზე მისულმა პოლიციელებმა, დაუმორჩილებლობის გამო, ერთ-ერთი მათგანი ადგილზე მოკლეს. მასთან ერთად მყოფი ორი მძარცველი კი დააკავეს. მოგვიანებით დადგინდა მოკლულის ვინაობაც და ის პატრიკ ბერისი აღმოჩნდა.



*მანიაკი პარტიკ ბერისი*

სამართალდამცველებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ სწორედ პეტრიკ ბერისი არის იმ ხუთი მკვლელობის ავტორი, რომლებიც ბოლო დროს სამხრეთ კაროლინას შტატის ტერიტორიაზე მოხდა და რომლებიც აქამდე გაუხსნელი იყო.

საქმე ისაა, რომ როგორც სამართალდამცველები ირწმუნებიან, ყველა ეს მკვლელობა მას შემდეგ მოხდა, რაც პატრიკ ბერისმა ციხის კედლები დატოვა. პოლიციის ინფორმაციითვე, ხუთივე მკვლელობა ერთი და იმავე ხელწერით არის შესრულებული.

გამოძიების მასალების მიხედვით, სასჯელის მოხდისგან ვადამდე ადრე გათავისუფლებულმა პატრიკ ბერისმა პირველი მკვვლელობა 27 ივნისს ჩაიდინა, როცა მან სიცოცხლეს გამოასალმა 63 წლის ფერმერი. ოთხი დღის შემდეგ, სამართალდამცველებმა იმავე რაიონში, 83 წლის ქალისა და მისი შვილის ნაწამები ცხედრები იპოვეს. გამოძიების მასალების მიხედვითვე, ამ დანაშაულის ჩადენიდან ორი დღის შემდეგ, სერიულმა მკვლელმა ერთ-ერთი ავეჯის მაღაზიის მეპატრონე და მისი მცირეწლოვანი გოგონა გამოასალმა სიცოცხლეს.

ვიდრე დანაშაულის ფაქტზე პატრიკ ბერისის ლიკვიდაცია მოხდებოდა, პოლიციამ სამხრეთ კაროლინას შტატის ქუჩებში სავარაუდო მკვლელის ფოტორობოტი გაავრცელა. სამართალდამცველების მტკიცებით, ფოტორობოტზე გამოსახული ადამიანი პატრიკ ბერისის იდენტურია.

**"ამ საზარელი მკვლელობების მოტივი ჯერჯერობით უცნობი და დაუდგენელია. თუმცა, მათი ავტორი რომ მართლაც პატრიკ ბერისია, უტყუარი მტკიცებულებებით დასტურდება, რაც ჩვენ უკვე მოპოვებული გვაქვს. ამჟამად ვმუშაობთ იმის დადგენაზე, თუ რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ლიკვიდირებულ სერიულ მკვლელს მომხდარ სხვა მძიმე დანაშაულებთან,"** - აცხადებენ სამხრეთ კაროლინას შტატის სამართალდამცველები.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# დიალოგის პირველი შედეგი

პირველი გვერდიდან

გარდა ამისა, “თავისუფალი დემოკრატების” გენერალური მდივანი ზურაბ აბაშიძე აცხადებს, რომ ხელისუფლება დაკავებულებს პოლიტპატიმრებად არ აღიარებს. **“დაკავებულებს სასჯელის ფორმა გირაოთი შეეცვალათ. ამ კუთხით არის მნიშვნელოვანი ძვრები, თუმცა საპატიმროებიდან მათი განთავისუფლება საკმაოდ რთული პროცესია და ეს ერთ დღეში ვერ მოხდება. რადგან ჩვენ ჩავერთეთ ამ პროცესში, ვაპირებთ, ბოლომდე მივყვეთ კიდეც,** - ამბობს აბაშიძე და სამომავლო სტრატეგიასაც განსაზღვრავს, - **ახლა ჩვენთვის მთავარია შედეგი და პოლიტიკური რეპრესიების შეწყვეტა. ამასთანავე, აუცილებელია იმ სისტემის შეცვლა, რომელმაც ეს უკანონობა გამოიწვია. მოვა დრო და ამ ყველაფერს პოლიტიკური შეფასება მიეცემა.”**

მიუხედავად იმისა, რომ “კონსერვატორებს” მოლაპარაკებებში მონაწილეობა არ მიუღიათ, მათი ინიციატივით შედგენილ სიაში ჩაწერილი აქტივისტების ნაწილი გაათავისუფლეს. “კონსერვატორების” ერთ-ერთმა ლიდერმა კახა კუკავამ “24 საათს” განუცხადა, რომ გათავისუფლებულ აქტივისტთა შორის არიან თავის დროზე იარაღის შენახვის ბრალდებით დაკავებული პირებიც.

ხელისუფლებასთან გამართულ მოლაპარაკებებში მონაწილე პარლამენტარმა ჯონდი ბაღათურიამ “24 საათს” განუცხადა, რომ უკვე გათავისუფლდა როგორც უპარტიო, ასევე სხვადასხვა პარტიის წევრი რამდენიმე აქტივისტი. საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი ყველას ურჩევს, რომ აღნიშნული მოქალაქეების საქმეებით მანიპულირებისგან თავი შეიკავონ და ხელისუფლებას სწორი გადაწყვეტილების მიღების საშუალება მისცენ. **“ჩვენ დაკავებულთა საქმეებს ბოლომდე მივიყვანთ. ხოლო, ხელისუფლებას უნდა დავუტოვოთ გზა, კარგი გაგებით, უკან დასახევად. უახლოეს მომავალში კი ალბათ ხელისუფლების წარმომადგენლებს ისევ შევხვდებით,”** - დასძენს ბაღათურია.

# აქტივები და რეიტინგები მცირდება

პირველი გვერდიდან

რესტრუქტურიზებული კრედიტების წილი ბანკის მთლიან პორტფელში 21 პროცენტია, ხოლო სამშენებლო კომპანიებისთვის გაცემული კრედიტების წილი 26 პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტების წილი კი 81 პროცენტს უტოლდება, რაც ბანკისთვის ნიშვნელოვანი საფრთხეა - ეროვნული ვალუტის შემდგომმა დევალვაციამ შესაძლოა კრედიტების გაუფასურება გამოიწვიოს.

“საქართველოს ბანკის” გრძელვადიანი რეიტინგი ისევ B დონეზეა დამტკიცებული - საპროგნოზო მაჩვენებლით ნეგატიური. FITCH REITINGS-ი აღნიშნავს, რომ 2009 წლის პირველ კვარტალში “საქართველოს ბანკის” მთლიან პორტფელში პრობლემური სესხების წილი 5 პროცენტამდე გაიზარდა, ვადაგადაცილებული სესხების მოცულობამ კი 8-დან 18 პროცენტამდე მოიმატა.

“ბაზის ბანკის” საპროგნოზო მაჩვენებელი სტაბილურიდან ნეგატიურით შეიცვალა. “ვითიბი ბანკი ჯორჯიას” ინდივიდუალური რეიტინგი შემცირდა, გრძელვადიანი რეიტინგი კი კვლავ B+ დონეზე დარჩა. B+ რეიტინგი შეუნარჩუნდა “პროკრედიტ ბანკსაც”. თუმცა, მისი საპროგნოზო მაჩვენებელი ასევე ნეგატიურით განისაზღვრა.

FITCH REITINGS-მა “პროკრედიტ ბანკის” და “ვითიბი ბანკი ჯორჯიას” რეიტინგების შედგენისას მათი აქციონერების - “პროკრედიტ ჰოლდინგისა” და რუსული “ვითიბი ჯგუფის” პოტენციური მხარდაჭერის შესაძლებლობა გაითვალისწინა. სააგენტო აღნიშნავს, რომ სხვა ქართულ ბანკებთან შედარებით “პროკრედიტბანკი” აქტივების უკეთესი ხარისხით გამოირჩევა.

FITCH REITINGS-ის შეფასებით, “ვითიბი ბანკი ჯორჯიას” აქტივების ხარისხი დაბალია და ბანკის საკრედიტო პორტფელში სამშენებლო სექტორზე გაცემული კრედიტების დიდი მოცულობა და უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების მაღალი წილი ბანკის აქტივების შემდგომი გაუფასურების რისკს ქმნის. “ბაზის ბანკის” რეიტინგის გაუარესება კი მომხმარებელთა სიმცირემ და მოგების დაბალმა მაჩვენებელმა განაპირობა.

# ოსმა მოროდიორებმა ქართველთა სახლების დაშლა დაიწყეს

შსს-ს ინფორმაციით, ოსმა მოროდიორებმა, რომლებსაც რუსული საოკუპაციო ჯარების 10 კაციანი დანაყოფი და ჯავშანტრანსპორტიორი იცავდა, გორის რაიონის ტერიტორიაზე, სოფელ დისევისა და ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის სიახლოვეს ქართული მოსახლეობის გადარჩენილი სახლების დაშლა დაიწყეს. შსს-ს წარმომადგენელთა განცხადებით, აღნიშნული ფაქტი ქართველმა სამართალდამცავებმა რუსი მესაზღვრეების მეთაურის მოადგილეს, დიმიტრი ჩიგიროვს აცნობეს, თუმცა შსს-ს განცხადებით, მათი მხრიდან აღნიშნულ ფაქტს რეაგირება არ მოჰყოლია და ქართული მოსახლეების სახლების დაშლა და სამშენებლო მასალის გატანა ამჟამადაც მიმდინარეობს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მოროდიორობის ფაქტს გმობს და საოკუპაციური ძალების მიერ სიტუაციის გამწვავების მცდელობად აფასებს. აგრეთვე მოუწოდებს რუსეთის საოკუპაციო ძალებს დაუყოვნებლივ აღკვეთონ აღნიშნული ქმედება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ილია მეორემ დედოფლისწყაროში ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსი მელქისედეკი წარადგინა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დღეს დედოფლისწყაროში ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსი მელქისედეკი წარადგინა. მეუფე მელქისედეკი ჰერეთის ეპისკოპოსად 3 მაისს აკურთხეს. როგორც რადიო “ჰერეთიდან” გვაცნობეს, ილია მეორე მრევლს დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში შეხვდა, რომლის აშენების სურვილიც 20 წლის წინ თავად გამოთქვა. უწმინდესმა ტაძარში პარაკლისი გადაიხადა, რომლის დასრულების შემდეგ კახეთის გუბერნატორ გიორგი ღვინიაშვილთან და ლტოლვილთა და განსახლების მინისტრ კობა სუბელიანთან ერთად ელიას მთაზე გაემგზავრა. ილია მეორე პატრიარქის რანგში დედოფლისწყაროს პირველად ოცი წლის წინ სტუმრობდა.

*პირველი*

# მშვიდობის კორპუსი საქართველოში მოღვაწეობას აახლებს

მშვიდობის კორპუსი საქართველოში მუშაობას აახლებს. საქართველოში აშშ-ის საელჩოს ინფორამაციით, დღეს საგარეჯოში, ორგანიზაციის 28 მოხალისე დადებს ფიცს. ცერემონიალს დაესწრებიან აშშ-ის საელჩოს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და რეგიონული განვითარების სამინისტროს, ადგილობრივი ხელისუფლების, პარტნიორი ორგანიზაციებისა და მასპინძელი ოჯახების წარმომადგენლები, აგრეთვე საქართველოში მშვიდობის კორპუსის ყოფილი და ახლანდელი მოხალისეები. "ესაა მშვიდობის კორპუსის მოხალისეთა პირველი ჯგუფი, 2008 წლის აგვისტოში, პროგრამის იძულებით შეწყვეტის შემდეგ და ამავე დროს ორგანიზაციის მეცხრე ჯგუფი, რომელიც საქართველოში იმსახურებს," - აცხადებენ საელჩოში. მათივე ინფორმაციით, მოხალისეთა შორისაა ინგლისური ენის 18 მასწავლებელი და 10 მრჩეველი ბიზნესის საკითხებში. მათ წარმატებით გაიარეს სამსახურისათვის მოსამზადებელი 9-კვირიანი პროგრამა, რომლის დროსაც ახლოს გაეცნენ ქართულ ენასა და კულტურას, ამავე დროს გაიარეს ტექნიკური და ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ტრეინინგი. უკეთ ადაპტაციისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით, ისინი საგარეჯოსა და მის მახლობელ სოფლებში მასპინძელ ქართულ ოჯახებში ცხოვრობდნენ. მოხალისეები კახეთისა და ქვემო ქართლის საშუალო სკოლებში შეასწავლიან ინგლისურს, აგრეთვე იმუშავებენ ადგილობრივ არასამთავრობო და ბიზნესის განვითარების ხელშემწყობ ორგანიზაციებში.

აშშ-ის მშვიდობის კორპუსი საქართველოში ქვეყნის მთავრობის თხოვნით იმყოფება. ის საქართველოში გზავნის კვალიფიციურ ქალბატონებსა და ბატონებს სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად, აგრეთვე ამერიკელი და ქართველი ხალხის ურთიერთობის გასამტკიცებლად. მშვიდობის კორპუსი აშშ-ის მთავრობის სააგენტოა. ის 1961 წელს პრეზიდენტ ჯონ ფ. კენედის ინიციატივით შეიქმნა. მშვიდობის კორპუსის ამოცანაა მსოფლიოში მშვიდობისა და მეგობრობის ხელშეწყობა. მშვიდობის კორპუსის საქართველოს პროგრამა 2001 წლიდან მოქმედებს. ამ ხნის განმავლობაში საქართველოში 300-ზე მეტმა მოხალისემ იმსახურა. აშშ-ის მშვიდობის კორპუსი დანარჩენ მსოფლიოს უზიარებს ამერიკის ყველა ძვირფას, ადამიანურ რესურსს. მოხალისეები ამერიკული საზოგადოების განსაკუთრებულ მრავალფეროვნებას განასახიერებენ. 2011 წელს მშვიდობის კორპუსი 50-ე წლისთავს იზეიმებს. თითქმის ნახევარი საუკუნეა, მშვიდობის კორპუსი მსოფლიოში მშვიდობის და მეგობრობის სადარაჯოზე დგას. 1961 წლის შემდეგ მშვიდობის კორპუსის 195 ათასზე მეტმა მოხალისემ 139 ქვეყანაში ემსახურა. ამჟამად აფრიკის, აზიის, კარიბის ზღვის აუზის, სამხრეთი ამერიკის, ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის 76 ქვეყანაში მშვიდობის კორპუსის 7 876 მოხალისე იმყოფება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### ბათუმში განახლებული ბულვარი გაიხსნა

ბათუმის ახალი ბულვარი, რომლის ოფიციალური გახსნის ცერემონიალიც გუშინ საღამოს შედგა, ხიმშიაშვილის ქუჩის ბოლოდან ადლიის მიმართულებით 1 კილომეტრზე გრძელდება. სპეციალურად მისთვის ახალი ადმინისტრაცია ჩამოყალიბდა, რომელიც ბათუმის აეროპორტის ადმინისტრაციას შეუერთდა. ბულვარის განახლებაზე ესპანელი დიზაინერები და 7 სხვადასხვა სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლები 3 თვის განმავლობაში მუშაობდნენ. მისი კეთილმოწყობისთვის თითქმის 27 მილიონი ლარი დაიახარჯა.

რაც შეეხება გამწვანებას, ბათუმის მუნიციპალიტეტმა უცხოურ კომპანიას უკვე დაუკვეთა 10 ათასზე მეტი, სხვადასხვა ჯიშის მცენარეების ნერგები. სავარაუდოდ, მომავალ წელს, ბათუმი და ბათუმელები, გაცილებით უფრო მეტ სტუმარს უმასპინძლებენ. ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების განცხადებით კი, ბათუმის ბულვარზე მილიონამდე მცენარე იქნება აყვავებული.

ოფიციალური გახსნის შემდეგ, ქართული ესტრადის მომღერლების კონტერი გაიმართა, რომელიც ნიაზ დიასამიძემ და სოფო ნიჟარაძემ გახსნეს.

*საკუთარი ინფორმაცია*

### უკრაინის საგარეო უწყება თავის მოქალაქეებს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში გამგზავრებისგან თავის შეკავებას ურჩევს

"უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო უკრაინის მოქალაქეებს რეკომენდაციას აძლევს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ჩასვლისგან თავი შეიკავონ. საქართველოს ტერიტორიაზე მოსახვედრად "ადლერის" და "ქვემო ზარაგის" საკონტროლო გამშვები პუნქტები გამოიყენონ," - ნათქვამია განცხადებაში და მიზეზად საქართველოს მიერ "კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" კანონის მიღება სახელდება. საგარეო საქმეთა სამინისტრო უკრაინის მოქალაქეებს განუმარტავს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ყველა სხვა მიმართულებიდან შესვლა სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება. განცხადებაში მოყვანილია საქართველოს კანონის მუხლები, რომელთა თანახმადაც, ოკუპირებულ რეგიონებში შესვლა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მხოლოდ ქართული მხარის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან შეუძლიათ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### ანდრეი ნეკრასოვი ამტკიცებს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი რუსულმა მხარემ დაიწყო

რეჟისორებმა ანდრეი ნეკრასოვმა და მისმა მეუღლემ ოლგა კონსკაიამ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ დოკუმენტური ფილმი "რუსული გაკვეთილები" გადაიღეს. ფილმში ნათლადაა ნაჩვენები, რომ ომი რუსულმა მხარემ დაიწყო. "ეს არის მძიმე ფილმი ომზე, რომლის ყურებაც ცრემლების გარეშე შეუძლებელია. ფილმში შევეცადეთ, გვეჩვენებინა სიმართლე, რომლის სახელითაც ამდენ სიბინძურეს სჩადიან. სამხრეთ ოსეთში კოლოსალური თანხები იდება და ეს რუსეთის იმპერიალისტური მიზნებისთვის ხდება. პრემიერი პუტინი გვატყუებდა, როდესაც ამბობდა, რომ სამხრეთ ოსეთში 2 ათასი მშვიდობიანი მაცხოვრებელი დაიღუპა. ინფორმაციის მხრივ ხარვეზები ორივე მხარეს იყო,"- განაცხდა ნეკრასოვმა. ანდრეი ნეკრასოვი ბესლანის ტრაგედიისა და ლიტვინენკოს საქმის შესახებ გადაღებული გახმაურებული ფილმების ავტორიცაა.

*პირველი*

### გალის რაიონის სკოლებმა სწავლა განაახლეს

გალის რაიონის მასწავლებელთა ინფორმაციით, გალის რაიონის სკოლებში მუშაობა ჩვეულებისამებრ გუშინ განახლდა, სასწავლო პროცესი კი წესით, 1 სექტემბერს უნდა დაიწყოს, თუმცა შესაძლებელია, ის 20 სექტემბრამდე გადაიდოს. "დღეს გალში დირექტორთა თათბირია და იქ გადაწყდება, თუ როდის დაიწყება სასწავლო პროცესი. შესაძლებელია, რეგიონში გავრცელებული ღორის დაავადების გამო ის გადაიდოს. სოფლებში ღორები გაწყდა, ვეტექიმები ამას ღორის ჭირს აბრალებენ, თუმცა საკითხი ჯერ კიდევ გასარკვევია. ამ მიზეზით შეიძლება, სწავლის დაწყება 20 სექტემბრისთვის გადაიდოს," - განაცხადეს მასწავლებლებმა. მათივე თქმით, სეპარატისტების მხრიდან ჯერ არანაირ შეზღუდვას ადგილი არ ჰქონია, ამიტომ ქართულ სკოლებში სწავლა ისევ ქართულად განახლდება.

*პირველი*

# საპრეზიდენტო არჩევნები ავღანეთში



ავღანეთში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. 2001 წელს თალიბანის რეჟიმის დამხობის შემდეგ ქვეყნის ისტორიაში ეს მეორე არჩევნებია. მასში მონაწილეობა 30-ზე მეტმა კანდიდატმა მიიღო, მათ შორის, მოქმედმა პრეზიდენტმა ჰამიდ კარზაიმ, რომელსაც მეორე ვადით ამ თანამდებობაზე დარჩენის იმედი აქვს. თუმცა, მან შეიძლება პირველივე ტურში ვერ გაიმარჯვოს. სოციოლოგიური გამოკითხვებით, ქვეყნის ამჟამინდელი მმართველი აშკარა ლიდერია, მაგრამ მას მოქალაქეთა დაახლოებით 45 პროცენტი უჭერს მხარს. მეორე ადგილზე, დაახლოებით 25 პროცენტით, შეიძლება გავიდეს აბდულა აბდულა - ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი კარზაის პირველ კაბინეტში.

თვითონ ჰამიდ კარზაიმ არჩევნები წარმატებულად შეაფასა, მიუხედავად იმისა, რომ თალიბმა ბოევიკებმა ხუთშაბათს 15 პროვინციაში 75 თავდასხმა განახორციელეს. საერთოდ ამ არჩევნებმა თალიბების მოძრაობის მხრიდან მზარდი ძალადობის პირობებში ჩაიარა. ოთხშაბათს მათ საარჩევნო კომისიების, სულ ცოტა, 5 წევრი მოკლეს. მათ ხალხს მოუწოდეს ბოიკოტისაკენ და "ურჩებს" (ეს პროვინცია გილმენდში მოხდა) დაემუქრნენ, რომ მოაჭრიდნენ იმ თითს, რომელზეც არჩევნებში მონაწილეობის დამადასტურებელ წაუშლელ მელანს აღმოუჩენდნენ.

ქვეყანაში 17 მილიონი რეგისტრირებული ამომრჩეველია, მაგრამ ბევრი მათგანი ვერ მივიდა საარჩევნო უბნებთან ქვეყანაში გამეფებული შიშის ატმოსფეროს გამო. თვით დედაქალაქ ქაბულშიც კი არჩევნები თავისუფლად არ ტარდებოდა. ქალაქის თავზე გამუდმებით ტრიალებდნენ ვერტმფრენები, ქუჩებში კი დადიოდნენ მანქანები ხმის გამაძლიერებლებით და ხალხს საარჩევნო უბნებზე მისვლისკენ მოუწოდებდნენ. როგორც თვითმხილველები იტყობნებიან, უშიშროების სამსახურის თანამშრომლები ქუჩებში გამვლელებზე მეტნი იყვნენ. მიუხედავად ამისა, ქაბულში და ქვეყნის სხვა რაიონებშიც თავდასხმები მაინც დაფიქსირდა. ქაბულში ორმხრივი სროლისას უშიშროების ძალებმა ორი თვითმკვლელი ტერორისტი მოკლეს, მაგრამ უცნობია, მოასწრეს თუ არა მათ თავის აფეთქება. კვირის დასაწყისში თალიბებმა გამოაცხადეს, რომ მათ ქაბულში ოცი თვითმკვლელი ტერორისტი შეგზავნეს. თალიბების თავდასხმები მოსალოდნელი იყო ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით ერთ მესამედზე, გარდა იმისა, რომ რვა რაიონში, რომელსაც მთლიანად თალიბები აკონტროლებენ, არჩევნები საერთოდ არ ჩატარებულა.

გაეროს წარმომადგენლების ცნობით, ყველაფრის მიუხედავად საარჩევნო უბნების დიდი უმრავლესობა გახსნილი იყო და მუშაობდა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბოევიკთა მხრიდან ამომრჩეველთა დაშინების ფაქტების გამო შეშფოთება გამოთქვა, თუმცა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა იან კელიმ ისიც აღნიშნა, რომ "ავღანეთის მოსახლეობის უმრავლესობას მყარად აქვს გადაწყვეტილი თვითონ განსაზღვრონ თავიანთი მომავალი".

არჩევნების წინასწარი შედეგები 2 სექტემბერს იქნება ცნობილი. თუ კანდიდატებიდან ვერავინ დააგროვებს ხმების 50 პროცენტს, ოქტომბერში მეორე ტური გაიმართება.

*მოამზადა ივა შილაკაძემ*

# ამერიკა ბელორუსის მიმართულებას აძლიერებს

ივა შილაკაძე

რამდენიმე დღის წინ ბელორუსში ვიზიტით იმყოფებოდა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ფილიპ გორდონი. ამ ვიზიტისგან საიდუმლო არც ერთ მხარეს არ შეუქმნია, თუმცა, ბელორუსის ოფიციალური საინფორმაციო საშუალებები მასზე საკმაოდ მშრალად და მოკლედ იუწყებოდნენ. აშკარაა, რომ ლუკაშენკოს მთავრობას მაინცდამაინც ხელს არ აძლევდა განხილული საკითხების სრული სპექტრის ღიად წარმოჩენა, მითუმეტეს ამერიკელებთან დაძაბული დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობების ფონზე. ბელორუსის მიმართ ამერიკელების სანქციები მოქმედებს, უკვე ერთი წელია გაწვეულია ელჩი და მინიმუმამდეა შემცირებული ამერიკის საელჩოს პერსონალი.

სააგენტო "ბელტას" ინფორმაციით, ფილიპ გორდონი საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი მარტინოვსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ვლადიმირ მაკეის შეხვდა. ორივე, განსაკუთრებით მაკეი, ლუკაშენკოსთან დაახლოებული და საკმაოდ გავლენიანი ჩინოვნიკები არიან. მათ შეხვედრების დროს ორმხრივი ურთიერთობების ფართო სპექტრი განიხილეს; გაცვალეს მოსაზრებები მთელ რიგ თემებზე, ისაუბრეს სავაჭრო ეკონომიკური კავშირების გაფართოებასა და საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის საკითხებზე. ოფიციალური ინფორმაციით სულ ეს იყო - თითქოს ერთმანეთს კარგად ჩამოყალიბებული ურთიერთობების მქონე ბიზნესპარტნიორები შეხვდნენ და ახალი პროექტები დაგეგმეს. დასავლეთს თითქოს არ აქვს სერიოზული კითხვები ბელორუსში დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, პოლიტპატიმრებისა და მედიის თავისუფლების მიმართ.

უფრო მეტი ინფორმაციის მიღება შეიძლებოდა ოპოზიციური და უცხოური ვებგვერდებიდან. თავისი კომენტარი ბელორუსში ამერიკის საელჩომაც გაავრცელა.

ფილიპ გორდონი მინსკში ლიტვიდან ჩავიდა. ლიტვური სააგენტო "დელფის" ინფორმაციით, ჯერ კიდევ ვილნიუსში ყოფნის დროს, ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრის შემდეგ, ამერიკელმა დიპლომატმა ბელორუსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მინსკში იმისთვის ჩადის, რათა გაარკვიოს, შეიძლება თუ არა უკეთესობისგან შეიცვალოს ორმხრივი ურთიერთობები. გორდონის თქმით, მთავარ კრიტერიუმად ამერიკისთვის ადამიანის უფლებები და დემოკრატია რჩება. ბელორუსმა უნდა გაათავისუფლოს პოლიტპატიმრები, მეტი თავისუფლება მისცეს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიას, ჩაატაროს თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნები. მან ისიც აღნიშნა, რომ სანქციები ბელორუსის მიმართ ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო შემოიღეს, რაც მხოლოდ ამ ვითარების გამოსწორების შემდეგ გაუქმდება. **"მათ გადადგეს პოზიტიური ნაბიჯები და იმიტომაც ჩავდივარ იქ. მაგრამ გასაკეთებელი უფრო ბევრია,"** - განაცხადა ფილიპ გორდონმა.

პოზიტიურ ნაბიჯებში, ალბათ, დაახლოებით, ერთი თვის წინ აშშ-ს მოქალაქე ადვოკატ ზელცერის გათავისუფლება იგულისხმებოდა, რაც ივნისში ბელორუსში კონგრესმენთა ვიზიტს მოჰყვა.

მინსკში, ფილიპ გორდონი, მაღალჩინოსნებთან მისვლამდე, ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდა. მას ესაუბრნენ ყოფილი პოლიტპატიმარი, ბელორუსის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი ალექსანდრ კოზულინი, გაერთიანებული სამოქალაქო პარტიის ლიდერი ანატოლი ლებედკო, ბელორუსის სახალხო ფრონტის თავმჯდომარის მოადგილე ვინცუკ ვიაჩორკა, კომპარტიის წარმომადგენელი სერგეი კალიაკინი, მოძრაობა "თავისუფლებისათვის" ხელმძღვანელი ვიქტორ კორნიენკო, სოციალ-დემოკრატიული პარტიის "გრამადა" თავმჯდომარე ანატოლი ლევკოვიჩი (ამ პარტიის წარმომადგენელია ბელორუსის ყოფილი ხელმძღვანელი სტანისლავ შუშკევიჩიც), ორგანიზაცია "ახალგაზრდა დემოკრატების" ლიდერი მიხაილ პაშკევიჩი, პარტია "ბელორუსის ქრისტიან-დემოკრატია" თანათავმჯდომარე ვიტალი რიმაშევსკი, ადამიანის უფლებათა დამცველი ვალენტინ სტეფანოვიჩი.

ფილიპ გორდონთან შეხვედრის შესახებ მედიასთან ისაუბრეს ალექსანდრ კოზულინმა და მიხაილ პაშკევიჩმა. მათ განაცხადეს, რომ საუბარი დემოკრატიის პრობლემებს, ადამანის უფლებათა შელახვას და განსაკუთრებით პოლიტპატიმრებს შეეხო. კერძოდ, დასახელდნენ ნიკოლაი ავტუხოვიჩი, ვლადიმირ ოსიპენკო და არტემ დუბსკი. ოპოზიციონერებს შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ ფილიპ გორდონი კარგად ერკვეოდა ბელორუსის სიტუაციაში, მაგრამ ხელისუფლებასთან შეხვედრამდე მაინც უნდოდა დამატებითი ინფორმაციის მიღება. შეხვედრაზე ისაუბრეს მედიის, საარჩევნო კანონმდებლობის, არასამთავრობო ორგანიზაციების პრობლემებზე. ოპოზიციის წარმომადგენლებმა ფილიპ გორდონს აცნობეს, რომ ბელორუსში არანაირი რეალური ცვლილებები არ ხდება და ზოგიერთ სფეროში ზეწოლა უფრო მატულობს. ფილიპ გორდონი მათ შეჰპირდა, რომ ამერიკა ფასეულობებზე უკან არ დაიხევს და ადამიანის უფლებათა ხარჯზე მდგომარეობის გამოსწორებას არ ეცდება. სანქციების მოხსნაზე ჯერჯერობით ლაპარაკი არ არის.

ამ კონტექსტში ყველასთვის ცხადია, რომ ბელორუსის ხელისუფლებას დიდი სურვილი არ ექნებოდა დაწვრილებით გაევრცელებინა მედიაში ინფორმაცია იმ რთული მოლაპარაკებების შესახებ, რაც ფილიპ გორდონთან აწარმოეს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა საკითხებზე. ინფორმაციების საერთო კონტექსტიდან კარგად ჩანს, რომ ამერიკაც და ევროკავშირიც რამე ხელშესახებ წინსვლას, სულ ცოტა, შემოდგომაზე ელოდება. პირველ რიგში, ეს ეხება პოლიტპატიმრებს, საარჩევნო კანონმდებლობას და საარჩევნო გარემოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სანქციების მოხსნა და თანამშრომლობა აღმოსავლური პარტნიორობის ფარგლებში საკმაოდ პრობლემატური გახდება.

ბელორუსში აშშ-ს საელჩოს ცნობით, ფილიპ გორდონმა კონსულტაციები გამართა ევროკავშირის ელჩებთანაც, ბელორუსისადმი საერთო პოზიციის შესათანხმებლად.

# ნათელა ნიკონოვა - დაბრუნება ირანიდან

2009 წლის 15 ივლისს ირანში ჩამოვარდა თვითმფრინავი, რომელიც ასრულებდა თეირანი-ერევნის N7809 რეისს. დაიღუპნენ ყველანი - 153 მგზავრი და ეკიპაჟის 15 წევრი. ეს მოხდა ადგილობრივი დროით 11.33-ზე, აფრენიდან 15 წუთის მერე. თბილისში თორმეტის სამი წუთი იყო. დილით თეირანის იმამ ხომეინის საერთაშორისო აეროპორტში თავად მივაცილე ამ რეისზე საკუთარი მეუღლე ნათელა ნიკონოვა და სომხეთსა და ირანში საქართველოს საელჩოების ფინანსური მენეჯერი, თეირანში მესამედ და თურმე უკანასკნელად ჩამოსული, უკვე ძალიან დამეგობრებული გივი ჭკადუა...



ვფურცლავ ნათელას დღიურს, რომელიც დაწყებულია 2005 წლის 29 დეკემბერს - თეირანში ჩამოსვლის პირველ დღეს, ბოლო ჩანაწერი კი 2006 წლის 24 ივნისით თარიღდება. მეორე დღეს პირველად წამოვედით შვებულებით თბილისში. მერე რატომღაც ნათელას დღიური არ გაუგრძელებია. დღიურის მაგივრობას გვიწევდა ფოტოაპარატი, რომელიც თან დაგვქონდა თეირანის გალერეებში, სტუმრად და ქალაქგარეთ მოგზაურობების დროს.

დღიური კი ასე იწყება:

**29 დეკემბრის ღამის პირველ საათზე თეირანში ვართ. აეროპორტიდან მივემგზავრებით ჩვენი სახლისაკენ, რომელიც ყოველ შემთხვევაში ჩვენი იქნება უახლოესი დროის მანძილზე. შევედით ქალაქში. რაღაც სპეციფიური სუნია - იჭრება მანქანის დახურულ სალონშიც. პირველი დღის დილა - ვათვალიერებ, ვითვისებ ახალ ბინას. შევდივარ საშხაპეში. სუფთაა, სასიამოვნოა. ვხსნით ბარგს - საკმაოდ ბევრი წამოგვიღია ზედმეტი. რაღაც ტყუილად გამოყოლილი წვირლმანის გამო - პირველი ცრემლები თეირანში. ღმერთმა ქნას, რომ უკანასკნელი იყოს".**

დღიურის ბოლო ჩანაწერებში კი ვკითხულობ:

2006 წლის 22 ივნისი: "**ნიკოსთან ერთად წავედით ფოატოაპარატის საყიდლად. შეძრწუნდები, როგორი ძვირია! მეშინია მიკარება. იმდენი რამის გაკეთება შეუძლია. სანამ დავეუფლები - ალბათ მივლინებაც დამთავრდება".**

2006 წლის 24 ივნისი: "**ღამით უნდა გავფრინდეთ და ეს დღიური ცოტა ხნით მაინც დაისვენებს ჩემგან".**

2009 წლის 26 ივნისს პოპულარულ გალერეა "შირინ"-ში გავხსენით ნათელას მეგობრის, ნანა ჭურღულიას გრაფიკის გამოფენა. ნათელა ძალიან ღელავდა. ირანის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შექმნილი დაძაბული ვითარების გამო გახსნაზე არ იყო ამ გალერეისათვის ჩვეული ატმოსფერო, მაგრამ მნახველი მაინც საკმაოდ მოვიდა. 1 ივლისის ჩათვლით ყოველდღე მივიდოდით იქ. ნათელა კიდევ უფრო დაუახლოვდა იქაურ გალერისტებს - შირინ ფართოევის, შირინ ჯელვეს, ლიდა ნოუბახტს, ძალიან ყურადღებიან ჭაბუკ მაზიარ მეჰინს. უკანასკნელად მათთან 11 ივლისს შევიარეთ მორიგი გამოფენის სანახავად. გამომშვიდობებისას ნათელა ირანელ მეგობრებს დაჰპირდა, თბილისიდან რომ დავბრუნდები, ქართული ეროვნული კერძებს გაგასინჯებთო... გამოფრენის წინა დღეს ნანა ჭურღულიას ნახატები ნათელამ აკურატულად დაახვია და მეორე დილას საკუთარი ხელით შეიტანა თვითმფრინავში...

2009 წლის 29 ივნისი: ნათელა სკაიპიში წერს ლენინგრადული სტუდენტობის მეგობარს, ხელოვნებათმცოდნე ელა გლინტერნიკს:

**"ელოჩკა, უკვე აგარაკზე ხარ? თეირანში დაცხა როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. თავიდან ძალიან განვიცდიდი, მაგრამ ახლა, როგორც ამბობენ ირანელები - "ინშალა" (როგორც ალაჰი ინებებს). პარასკევს ნიკოსთან ერთად გავხსენით ჩემი მეგობრის ნანა ჭურღულიას გამოფენა, გრაფიკოსია. მაგრამ სიტუაცია მთლად სასიამოვნო არაა. როცა ვგეგმავდით, ვერ წარმოგვედგინა ასეთი ვნებათაღელვა, რადგან მაშინ ისეთი უმოძრაობა და სიჩუმე იყო... მე თბილისში წავალ 15-ის მერე. გალკა დაბრუნდა? გკოცნი, ყველას მოკითხვა. ნათელა"**.

ნათელას დასაფლავებიდან რამდენიმე დღის შემდეგ 31 ივლისს დილაუთენია დავბრუნდი თეირანში. ჩემს ინტერნეტ-ფოსტაში დამხვდა რამდენიმე მოწვევა ზაფხულის სეზონის ბოლო გამოფენებზე. "შირინ"-იდანაც იყო მოსაწვევი. მივხდი, რომ მათ ვერ გაიგეს ნათელას დაღუპვის ამბავი. თავს ძალა დავატანე და მანქანით მივადექი "ირანის კალიგრაფთა ასოციაციის" მიმზიდველ შენობას, რომელშიც მდებარეობს ეს გალერეა. ნელ-ნელა გავეშურე შენობისაკენ. აჟურული რკინის ჭიშკრით ცრემლმორეული შევედი ლამაზ ბაღში, რომელშიც აქამდე ორნი შევდიოდით. ძლივს ავედი მეორე სართულზე. ღიმილით შემომეგებნენ ლიდა და შირინ ჯელვე, ეგრევე ნათელა მოიკითხეს და პასუხი რომ მიიღეს, ქვითინი აუვარდათ. ატირდა იქ სტუმრად მყოფი გალერისტი, ჩვენი კარგი მეგობარი იექთა მალექზადეც - იქვე სკამზე დაეცა. შემოგვეხვია სულ უცხო ხალხი. გახსნა გადაიქცა პანაშვიდად...

1 აგვისტოს საქართველოს ახალი ელჩი ბატონი გიორგი ჯანჯღავა გადასცემს რწმუნებათა სიგელის ასლს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ მანუჩეჰრ მოთაქის. ოფიციალური მოსამძიმრებისა და ახალ ელჩთან გრძელი, საქმიანი საუბრის მერე, უკვე შეხვედრის დასრულებისას, დიდხანს უჭირავს ჩემი ხელი, კიდევ მისამძიმრებს მეუღლისა და ჩვენი საელჩოს თანამშრომლის გივი ჭკადუას დაღუპვას. მადლობას ვუხდი რა ბატონ მინისტრს, იქვე ვიხსენებ ჩემს ძველ ნაცნობს, ირანელ ბიზნესმენს ალიაქბარ ალიმოჰამადის, რომელიც სამი ვაჟიშვილის - არაშის, ქავეს და აჰმადის თანხლებით ჩაჯდა იმ თვითმფრინავში. ხუმრობით რომ ვუთხარი, ყველანი მიდიხართ თბილისში-მეთქი, მიპასუხა, ნუ დარდობ, ერთ მაგდენს აქ ვტოვებო. მერე დავაზუსტე, რომ ცხონებულს მეუღლე და კიდევ 3 შვილი დარჩენია ირანში. ბატონ მოთაქის ვეუბნები, რომ იმ თვითმფრინავში მყოფი ყველა 168 ადამიანის საერთო საფლავი, 7 მეტრი სიღრმის, 10 მეტრი სიგანისა და 30 მეტრი სიგრძისა, ყაზვინის პროვინციის სოფელ ჯანნათაბადთანაა. "ჯანნათ" - არაბულად და სპარსულად "სამოთხეა". ჯანნათაბადიც "სამოთხის დასახლებად" შეიძლება ითარგმნოს. გამოდის, სწორ ადგილას დაშვებულან... სპეციალური კომისიის წინასწარი დასკვნით, 8 კილომეტრის სიმაღლიდან თვითმფრინავის ვარდნა დაახლოებით 70 წამი გრძელდებოდა. 168 ადამიანმა გაიარა ჯოჯოხეთის 70 წამი ამ "სამოთხის დასახლებაში" მოსახვედრად...

ერევანში ჩასულები იმავე დღეს აპირებდნენ თბილისში მანქანით წამოსვლას. გივი ჭკადუა ამბობდა, მხოლოდ 2 საათი მინდა ბანკიდან ფულის გამოსატანად და საელჩოში ხელფასების დასარიგებლადო. მერე მხოლოდ ერევნის ბაზარში შევირბენთ სომხური გარგრის საყიდლადო. თბილისში მეუღლისა და ორი ბიჭისათვის უნდოდა... ნათელაც გახარებული იყო, მეუბნებოდა, მეც ვიყიდი და სახლში მურაბას მოვხარშავ, ოღონდ ცუდია, რომ შენ არ იქნები, ქილები რომ დახუფოო.

11 აგვისტოს, თეირანში გამომავალ სახვითი ხელოვნების ყოველორკვირეულ ჟურნალ "თანდის"-ის პირველ გვერდზე დაიბეჭდა ნათელას ხსოვნისადმი მიძღვნილი სარედაქციო წერილი, სათაურით "**თანამგზავრის დაკარგვის გამო**", რომელშიც კერძოდ წერია: "**ქალბატონი ნათელა ნიკონოვა ჟურნალ "თანდის"-ის ერთგული მკითხველი და თანამგზავრი იყო. "თანდის"-ის თანამშრომლები ვიხსენებთ, რომ პრესის გამოფენის დროს იგი მეუღლესთან ერთად აკითხავდა ჩვენს პავილიონს და ... "თანდის"-ის პროდუქციის შეძენით დიდ სიხარულს გვანიჭებდა.**

**მისი მეუღლე გვიყვება: "მიუხედავად იმისა, რომ ნათელამ სპარსული არ იცოდა, თარგმანის მეშვეობით ყოველთვის ინტერესით ეცნობოდა ჟურნალში განთავსებულ მასალას". ...თეირანის გალერეების მონახულება პარასკეობით და შაბათობით, საელჩოს დასვენების დღეებში, ნათელას და მისი მეუღლის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი საქმიანობა იყო. უმეტესი გამოფენების გახსნაზე შეიძლებოდა მათი ხილვა".** მართლაც, უზარმაზარი თეირანის თითქმის ყველა გალერეაში გვიცნობდნენ. წერილს 2 ფოტო ახლავს - ნათელა სახელგანთქმული ირანელი მხატვრის მაჰმუდ ფარშჩიანის გვერდით და ნათელა თანამედროვე ირანული ფერწერის ერთ-ერთი ფუძემდებლის ჰოსეინ მაჰჯუბის გამოფენაზე...

ნათელას ორმოცამდე დარჩენილი დღეები თეირანში სწრაფად გარბის. კომპიუტერში გვიან ღამემდე ვარჩევ უკვე არარსებული ფოტოაპარატით გადაღებულ სურათებს. მერე თბილისში ბაიასთან ვათანხმებ თითოეულ ფოტოსა და დეტალს. "ბაია-გალერეაში" ფოტოგამოფენა იქნება... ნათელა ირანში, ჩვენი ფოტოაპარატით დანახული ირანი... სათაური ძნელად მოდის, საბოლოოდ იკვეთება "დაბრუნება ირანიდან". ასეთი ლამაზი და ცერმლიანი დაბრუნება...

*ნიკოლოზ ნახუცრიშვილი*

*თეირანი*

*16.08.09*




## კიდევ ერთი ვაგნერიანელი გარდაიცვალა



ორი დღის წინ, იაპონიაში მოულოდნელად გარდაიცვალა მსოფლიოში აღიარებული გერმანელი სოპრანო - ჰილდეგარდ ბერენსი. როგორც დასავლური პრესა იუწყება, გარდაცვალების მიზეზი ანევრიზმა აღმოჩნდა. სოპრანო 72 წლის გახლდათ. ჰილდეგარდ ბერენსი აღიარებულია, როგორც ვაგნერიანელი მომღერალი, ამ ავტორის მიერ სოპრანოსთვის დაწერილი ყველა პარტიის უბადლო შემსრულებელი. მას ვენაში დაკრძალავენ.

ჰილდეგარდ ბერენსი 1937 წელს გერმანიაში დაიბადა. სასიმღერო კარიერა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც ფრაიბურგის უნივერსიტეტში იურისტის დიპლომი მიიღო. მისი დებიუტი 1971 წელს შედგა და მაშინ მოცარტის ოპერაში "ფიგაროს ქორწინება" გრაფინიას პარტია შეასრულა. მისი წარმატებები და ნიჭი იმდენად შესამჩნევი გახლდათ, რომ უკვე 1976 წელს ის "მეტროპოლიტენ ოპერაში" მიიწვიეს, რომლის სცენაზეც 1999 წლამდე იგდა და თავისთავადობის გამო შეუცვლელი გახლდათ.

ის კარაიანის რჩეულთა შორის იყო. მაესტრომ ის 1970 წელს აღმოაჩინა და სწორედ მის ხელში გაიბრწყინა ახალბედა სოპრანომ ზალცბურგის ფესტივალზე - შტრაუსის "სალომეაში".

წარმატებით მღეროდა პუჩინის, მასკანის, მოცარტის, ბერგისა და შტრაუსის ოპერებში, მაგრამ ჰილდეგარდ ბერენსი არც ერთში არ ყოფილა ისეთი შეუდარებელი, როგორც ვაგნერის ოპერებში. ხმები, რომლებიც რიჰარდ ვაგნერის ოპერებს დაძლევენ სულ უფრო და უფრო იშვიათად ისმის მსოფლიოში, ორი დღის წინ კი მათ, ამ ქალბატონის სახით, ერთი განსაკუთრებული ხმა გამოაკლდა.

## პრემიერა ფოთში

დღეს და ხვალ, ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრში თეატრალურ სეზონს პრემიერით ხურავს. მთელი ზაფხულის განმავლობაში თეატრის დასი სრული დატვირთვით მუშაობდა.

საპრემიერო სპექტაკლად რეჟისორმა ზურაბ ბეგლარიშვილმა რეი ბრედბერის გახმაურებული რომანი "451 * F" შეარჩია. (ოთხასორმოცდათერთმეტი გრადუსი ფარენჰაიტით-ტენპერატურა რომელზეც იწვის ქაღალდი). რომანის ინსცენირება და სცენოგრაფია თავად რეჟისორს ზურაბ ბეგლარიშვილს ეკუთვნის.

სპექტაკლში ფოთის თეატრის თითქმის მთელი დასია დაკავებული. მთავარ როლებს ასრულებენ: გია სურმავა, რამინ კილასონია, ნიარა ჭიჭინაძე, მარიკა ბუკია.

მასობრივი გლობალიზაციის და ტექნიკური პროგრესის ტყვეობაში მოქცეული საზოგადოება სულიერებასა და ინდივიდუალიზმს კარგავს.

2035 წლის არც თუ ისე შორეულ მომავალში, წიგნი აკრძალულია და მისი შენახვა კანონით ისჯება. მეხანძრეები, რომლებიც ადრე ცეცხლს აქრობდნენ დღეს წიგნებს წვავენ. გაი მონტეგი-წარმატებული მეხანძრე წიგნებით ინტერესდება და ამის შედეგად მისი ცხოვრება მთლიანად იცვლება.

პროექტი განხორციელდა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

*24 საათი*

## ახალი "ასსა ფართი" ბათუმში

2009 წლის 24 აგვისტოს 22 საათზე, ბათუმში კლუბ "ტარაბუაში" გაიმართება სუხიშვილების ნაციონალური ბალეტის კონცერტი, - განახლებული "ასსა ფართი." ღონისძიება ტარდება, კულტურის სამინისტროს ორგანიზებით. კონცერს ესწრება "რივერდანსის" პროდიუსერი და მოცეკვავეები, რომლებიც თავის მხრივ მაყურებელს არაერთ სიურპრიზს პირდებიან. ღონისძიება დასრულდება დისკოტეკით "სუხიშვილების" მოცეკვავეებთან ერთად.

*24 საათი*

### ˝ფიორენტინაში˝ იდეალურ კანდიდატად კალაძეს მიიჩნევენ

იტალიური სპორტული გამოცემის Corriere dello Sport-ის ინფორმაციით, სერია A-ს ბინადარი "ფიორენტინა" მცველის შეძენითაა დაინტერესებული. ფლორენციელთა სამიზნე კი "მილანიის" ქართველი ლეგიონერის კახა კალაძის გადაბირება ყოფილა.

იტალიელი ჟურნალისტების ცნობით, "ფიორენტინას" მთავარი მწვრთნელს, ჩეზარე პრანდელის უკანა ხაზის გასაძლიერებლად საუკეთესო ვარიანტად კალაძეს მიიჩნევს, რადგან საქართველოს ნაკრების კაპიტანს შეუძლია ითამაშოს როგორც დაცვის ცენტრში, ასევე მარცხენა ფლანგზე.

სხვათა შორის, ცოტა ხნის წინათ, როდესაც "ფიორენტინას" ლისაბონის "ბენფიკადან" ბრაზილიელი მცველის ლუიზაოს შეძენაც სურდა, მაგრამ ფეხბურთელის მაღალი ფასის გამო უარი თქვეს ტრანსფერზე.

Corriere dello Sport-ის ცნობით, "ფიორენტინას" არჩევანი კალაძეზე ფეხბურთელის შედარებით დაბალი სატრანსფერო ფასის (ოთხი მილიონი ევრო) გამო შეუჩერებია.

### ილარიანმა საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ დაძლია

ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე მიმდინარე მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე 19 აგვისტოს 110 მეტრზე თარჯრბენში დავით ილარიანმა წარუმატებლად იასპარეზა. ილარიანმა დისტანცია 13.86 წამში დაფარა და ამ მაჩვენებლით 47 მონაწილეს შორის 39-ე ადგილის დაკავება შეძლო. ქართველ მორბენალს მისი საუკეთესო დრო რომ ეჩვენებინა (13.72), 24 საუკეთესოს შორის მაინც ვერ შეძლებდა მოხვედრას. ილარიანმა საკუთარ ჯგუფში (ჯგუფი რვა სპორტსმენისგან შედგება) მხოლოდ სინგაპურელ აბდულ ჰაკიმ აბდულ ჰალიმს გაასწრო (14.63) და 39-ე ადგილი დაიკავა.

ამრიგად, ქართველი სპორტსმენებისათვის მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა. ილარიანამდე საკუთარი თავი გამოსცადა ბირთვის მკვრელმა მარიამ ქევხიშვილმა, რომელმაც მე-14 ადგილი დაიკავა.

, ხოლო დავით ილარიანმა 39-ე ადგილები დაიკავეს.

შეგახსენებთ, რომ ილარიანმა წლეულს სარაევოში გამართული ევროპის ჩემპიონატის მესამე ლიგაში 100 მეტრზე თარჯრბენში (14.02 წამი) გაიმარჯვა, ხოლო შარშან პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე დისტანცია 13.74 წამში დაფარა.

*სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი*

### ქართველმა კარატისტებმა იაპონიაში იჩემპიონეს

12-16 აგვისტოს ტოკიოში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ტრადიციულ კარატეში, სადაც მომაწილეობა მიიღო 65 ქვეყნის ეროვნულმა ნაკრებმა, საქართველომ წარმატებით იასპარეზა. ჯამში, ქართველმა კარატისტებმა პირად მაჩვენებლებში 4 ოქროს, 1 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი და ტურნირის ძირითადი ჯილდო - გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს.

ვეტერანებს შორის ჩემპიონები გახდნენ, კუმიტეში მამუკა ყურაშვილი და ნოდარ ხაჯიშვილი, ახალგაზრდებში ვერცხლს დაეუფლა ჰენრი ვეკუა, ხოლო უფროსებში 75 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლევან გორელაშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა. გორელაშვილი ჩემპიონი აბსოლუტურ წონით კატეგორიაშიც გახდა, რაც აღნიშნული ჩემპიონატების არსებობაში პირველი შემთხვევაა.

გუნდურ კუმიტეში საქართველოს ნაკრებმა ინდოეთის, ყირგიზეთის და შვედეთის დამარცხება შეძლო, ხოლო ფინალში გასული ჩემპიონატის გამარჯვებული - აზერბაიჯანის ნაკრები დაამარცხა.

აღსანიშნავია, რომ ტოკიოში ჩემპიონატის დაწყებამდე იაპონიის კარატეს ფედერაციამ ჩაატარა კარატეში მაღალი რანგის ინსტრუქტორების ატესტაცია, სადაც მე-7 დანი მიენიჭა საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტს კახა ბასილიას. ბასილია ამ რანგის მატარებელი ერთადერთი ინსტრუქტორია აღმოსავლეთ ევროპაში, ვისაც მინიჭებული აქვს არასაპატიო მე-7 დანი.

**საქართველოს ნაკრები გუნდურ კუმიტეში**

ლევან გორელაშვილი

ირაკლი ტყებუჩავა

დავით ტყებუჩავა

ჰენრი ვეკუა

# კუპერმა შემადგენლობა გამოამზეურა

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მორიგი შეხვედრა 5 სექტემბერს თბილისში მსოფლიოს ჩემპიონ იტალიის ნაკრებთან უწევს, 9 სექტემბერს კი ისლანდიას ისალნდიაშივე ამხანაგურად გაეჯიბრება.

სატენდერო კომისიის აპარატი

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს ტენდერს **ქ. თბილისში, საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების** სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1.შესყიდვის ობიექტი -** ქ. თბილისში, საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

**შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 8 (რვა) ლოტად:**

**ლოტი N1** - ქ. თბილისი, ბალანჩივაძის ქუჩა N54-56, 63-67 საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

**ლოტი N2** - ქ. თბილისი, ბალანჩივაძის ქუჩა N8 საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

**ლოტი N3** - ქ. თბილისი, დოლიძის ქუჩა N45 საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

**ლოტი N4** - ქ. თბილისი, ქსნის ქუჩა N12 საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

**ლოტი N5** - ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა N110 საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

**ლოტი N6** - ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა N221/5 საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

**ლოტი N7** - ქ. თბილისი, ვაშლიჯვარი, კვანტალიანის ქუჩა N114 საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

**ლოტი N8** - ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა N111 საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

***საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების სავალდებულო ვადა: ლოტი N1; ლოტი N2; ლოტი N3 ; ლოტი N4 ; ლოტი N5 ; ლოტი N6 ; ლოტი N7 ; ლოტი N8 ; - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვე;***

2. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 10 სექტემბრის 11:00 საათიდან 2009 წლის 10 სექტემბრის 16:30 საათამდე, მისამართზე: **ქ.თბილისი, ჟ. შარტავს ქუჩა N7, მეორე სართული, ოთახი N8 ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური**.

3. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**3.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ)ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**3.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**3.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**

ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ბ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიციკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;

გ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

4.პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

*შენიშვნა: მომსახურების გასაწევად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-3 მუხლის მიხედვით;*

*ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.*

5.თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

**გადახდის დანიშნულება** - სატენდერო მოსაკრებელი**, ქ. თბილისში, საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (8 ლოტიანი)** სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

7.სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 21 აგვისტოს 11:00 საათიდან 2009 წლის 10 სექტემბრის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

8.პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

9. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

10.შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

11. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, მარიამ ცენტერაძე, ტელეფონი - (995-32) 37-85-72

**სატენდერო კომისია**

# განცხადება

## 2009 წლის 12 აგვისტოს გამოქვეყნებულ ტენდერის გაცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2009 წლის 12 აგვისტოს გამოქვეყნებულ განცხადებაში კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის მიზნით ტენდერის გამოცხადების შესახებ შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. განცხადების პირველ პუნქტში ლოტი №1–ით გათვალისწინებულ საქონლის ტექნიკური მონაცემები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| № | დასახელება | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| | ლოტი №1 | |
| 1 | **ნოუთბუქი** (Brand Name)<br>Display – **13.3“** WXGA+ (1440x900) LED backlight<br>Processor - Intel® Centrino vPro Core™ Duo 2 Processor SU9400 SFF ULV (2x1.40GHz, 1066MHz FSB, 6MB L2)<br>RAM 4 GB (Up to 4GB) PC3-8500/1066MHz DDR3<br>128 GB SATA Solid State Drive<br>Intel Media Accelerator X4500 256MB VRAM DDR shared<br>Anti-glare/Anti-reflective<br>WebCamera 1.3 Mpixel<br>DVD-RW/CD-RW (Multi Burner) Dual Layer<br>Gigabit Eth<br>Centrino 11a/b/g/n<br>Bluetooth™<br>FPR<br>Security Chip<br>SoundBlaster Pro compatible<br>Int. St. Speakers<br>Li-Ion battery life up to 5.9 hr (6 cell extended)<br>Weight - Less 1.4 Kg<br>Bag<br>**გარანტია - მინიმუმ 3 წელი** | 1 |

საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია

**2009 წლის 13 აგვისტოს №179 გაზეთში „24 საათი“ სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის“ მიერ გამოცხადებულ განცხადებაში „გლობალური ფონდის“ პროექტების: „აივ/შიდსის პრევერციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში“ (პროექტი: №-GEO202-G01-H-00), „აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ღონისძიებების გაფართოება“ (პროექტი №-GEO-607-G06-H), „DOTS სტრატეგიის განხორციელების სრულყოფა საქართველოში“ (პროექტი: №-GEO-405-G03-T), „საქართველოში რეზისტენტული ტუბერკულოზის სფეროში მართვის სრულყოფის ღონისძიებების გატარება“ (პროექტი №-GEO-607-G05-T) და „მიღწეული შედეგების კონსოლიდაცია: მალარიას ეპიდემიის თავიდან აცილება“ (პროექტი №-GEO-607-G04-M) პროგრამის ფარგლებში კომპიუტერული ტექნიკისა და ინვენტარის შესყიდვის ტენდერის ჩატარების შესახებ, შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება და დამატება:**

განცხადების მე-3 მუხლში (შესყიდვის ობიექტი) შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| ლოტი № | საქონლის დასახელება * | რაოდენობა (ცალი / ლიცენზია /კომპლექტი) |
|---|---|---|
| ლოტი 1 | კომპიუტერი (მონიტორი, დესკტოპი, კვების წყარო) | 77 კომპლექტი |
| ლოტი 2 | კომპიუტერი (ლეპტოპი, ტიპი №1) | 1 ცალი |
| ლოტი 3 | კომპიუტერი (ლეპტოპი, ტიპი №2) | 4 ცალი |
| ლოტი 4 | კომპიუტერი (ლეპტოპი, ტიპი №3) | 6 ცალი |
| ლოტი 5 | კომპიუტერი (ლეპტოპი, ტიპი №4) | 1 ცალი |
| ლოტი 6 | კომპიუტერი (ლეპტოპი, ტიპი №5) | 4 ცალი |
| ლოტი 7 | ფაქსი | 70 ცალი |
| ლოტი 8 | პროექტორი | 4 ცალი |
| ლოტი 9 | ასლის გადამღები მანქანა | 5 ცალი |
| ლოტი 10 | მაკავშირებელი („Swich“ და კარადა) | 1 კომპლექტი |
| | სკანერი | 1 ცალი |
| | კომბო (შავთეთრი პრინტერი, სკანერი, კოპიერი) | 14 ცალი |
| | პრინტერი (შავთეთრი პრინტერი) | 31 ცალი |
| | პრინტერი (ფერადი პრინტერი) | 4 ცალი |
| | მყარი დისკი | 2 |
| ლოტი 11 | პროგრამული უზრუნველყოფა (ლიცენზირებული „Software“) | 10 ლიცენზია /კომპლექტი |
| ლოტი 12 | ინტერფეისი („VPN“ კავშირი) | 1 კომპლექტი |

# ა უ ქ ც ი ო ნ ი

შპს "მახინჯაურის ციტრუსის" გაკოტრების მმართველი აცხადებს აუქციონს.
აუქციონზე გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:
1. ავტოფარეხის ტერიტორია და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობა, საერთო ფართობით 5140 კვ.მ.;
2. კლუბი, საცხოვრებელი სახლის მეორე სართული, 254 კვ.მ. და მასში შემავალი ამორტიზებული ინვენტარი (სავარძელი 14 ცალი, მაგიდა 6 ცალი, სკამი 130 ცალი და პიანინო 1 ცალი);
3. რკინის ბავშვის საწოლები 14 ცალი (ამორტიზებული);
4. სეიფები 5 ერთეული, სხვადასხვა ზომის;
5. ოფისის მოწყობილობა: მაგიდები მისაბმელით 3 ცალი;
6. ციტრუსის მიმღები პუნქტი და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი 325 კვ.მ.;
7. ციტრუსის მიმღები პუნქტი და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი 36 კვ.მ.;
8. სამოქალაქო თავდაცვის ბუნკერი;
9. მრავალწლიანი ნარგავები;
10. წყლის ცისტერნა 23 ტონიანი;
11. სასმელი წყლის ტრასა;
12. ასფალტის საფარი;
13. სახანძრო აუზი 3 ცალი;

ზემოთ ჩამოთვლილი ქონება იყიდება 1 ლოტად და საწყისი ფასი შეადგენს 158 000 (ას ორმოცდათვრამეტი ათასი) ლარს. ბიჯი - 1000 ლარი, ბე - 3000 ლარი. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა ბილეთის ღირებულება შეადგენს 50 ლარს.

**მისამართი: ხელვაჩაურის რაიონი, დაბა მახინჯაური, წერეთლის ქ. 1.**

**რეკვიზიტები:**

ა/ნ 36020053
კოდი: 220101457
ს/კ 248381040
სახალხო ბანკის ხელვაჩაურის ფილიალი

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადები მიიღება 2009 წლის 6 აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლით ყოველდღე, 10 სთ-დან 15 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა.
აუქციონი გაიმართება 2009 წლის 7 სექტემბერს, დღის 12 საათზე შპს "მახინჯაურის ციტრუსის" ადმინისტრაციულ შენობაში.
აუქციონში გამარჯვებულ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს უფლება ეძლევა 30 (ოცდაათი) საბანკო დღეში დაფაროს მთლიანი სააუქციონო თანხა, აუქციონში გამარჯვების დღიდან.
ტელ: 899 50 98 43/877 72 66 51
E-mail: postako@mail.ru
**გაკოტრების მმართველი: იოსებ ბარამიძე**

საქმე №2/961-00

# გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
## საქართველოს სახელით

სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების
გზავნილის საჯაროდ გავრცელების შესახებ
**30 ივნისი 2009 წელი ქ. ბათუმი**
**ბათუმის საქალაქო სასამართლო**
**მოსამართლე ჯუმბერ ბეჟანიძე**
**მოსარჩელე** - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
**მოპასუხე** - ჯემალ აბაშიძე
**დავის საგანი** - ზიანის ანაზღაურება
ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გზავნილის საჯაროდ გავრცელების საკითხი

**ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:**

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა სასამართლოში ჯემალ აბაშიძის მიმართ, რომლითაც მოითხოვა ზიანის ანაზღაურების სახით მოპასუხისათვის 1278.68 ლარის გადახდის დაკისრება და სანივთე ქონებისა და აღჭურვილობის უკან დაბრუნება.
თავის მოთხოვნას მოსარჩელე მხარე შემდეგ გარემოებებზე ამყარებს: 2005 წლის 13 დეკემბრიდან მოპასუხე მსახურობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 03 აპრილის №812 ბრძანებით მოპასუხე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო. "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრაფით გათვალისწინებული მასზე დახარჯული თანხა შეადგენს 1278.62 ლარს.
საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების მიზნით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე და 201-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, მოპასუხეს სამჯერ გაეგზავნა სარჩელი და თანდართული დოკუმენტები საქართველოს სსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მაგრამ ვერ ჩაბარდა, რადგანაც სარჩელში მითითებულ მოპასუხის მისამართზე ჯ. აბაშიძე არ ცხოვრობს.
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბათუმის სამსახურის მიერ გაცემული წერილით დასტურდება, რომ ჯემალ აბაშიძე რეგისტრირებულია მისამართზე ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი №45, ბინა №4.
მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნის დასადასტურებლად წარმოდგენილი იქნა შემდეგი მტკიცებულებები:
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის №195 ბრძანება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით საბრძოლო ქვედანაყოფებში ჩარიცხულ სამხედრო მოსამსახურეებთან გასაფორმებელი კონტრაქტის ფორმის დამტკიცების შესახებ;
- კონტრაქტი საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის №812 ბრძანება შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ;
- 13801 სამხედრო ნაწილის მეთაურის ლ. ყარმაზანაშვილის პატაკი;
- ჯემალ აბაშიძის სამსახურეობრივი ბარათი;
- მუდმივმოქმედი სამანდატო კომისიის სხდომის ოქმი №3;
- დანაკლისი;
- ატესტატი;
- სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ასანაზღაურებელი თანხის გაანგარიშება;
ჯემალ აბაშიძეს სარჩელი და თანდართული მასალები ვერ ჩაბარდა, ვინაიდან მოსარჩელე მხარის მიერ მითითებულ მისამართზე არ იმყოფება.

**ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.
სასამართლოს მიაჩნია, რომ ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევას, კერძოდ, მოპასუხეს ვერ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ (არ ჩაბარებია სარჩელი და თანდართული მასალები), სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების (მოცემულ შემთხვევაში სარჩელისა და თანდართული მასალების) საჯაროდ გავრცელების შესახებ გაზეთი "24 საათი"-ს მეშვეობით, ვინაიდან იგი მასობრივადაა გავრცელებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის "ა" და "ბ" პუნქტების თანახმად, სასამართლო უგზავნის მოპასუხეს სარჩელისა და ამ კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტების ასლებს; დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას იმისათვის, რომ მან წერილობით შეადგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასზე დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და წარუდგინოს ისინი სასამართლოს. დანიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე 21 დღეს. სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხეს წერილობითი პასუხის სასამართლოში წარმოდგენისათვის უნდა მიეცეს 07 დღე.

**ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 78-ე, 201-ე, 284-285-ე მუხლებით,

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მოპასუხე ჯემალ აბაშიძეს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების შესახებ პასუხის (შესაგებლის) წარდგენისათვის განესაზღვროს 07 დღის ვადა და განემარტოს, რომ სარჩელისა და თანდართული მასალები მისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს, სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა აითვლება ამ დროიდან.
2. განემარტოს მოპასუხე ჯემალ აბაშიძეს, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი. საპატიო მიზეზად კი ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით, ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.
3. განემარტოს მოპასუხე ჯემალ აბაშიძეს, რომ სასამართლოში წარმოდგენილ წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს:
- სასამართლოს დასახელება, რომელშიც მოპასუხეს შეაქვს პასუხი;
- მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი შეაქვს წარმომადგენელს), მოწმის, სხდომაზე მოსაწვევის სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი, ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მათ შორის მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი; პასუხში შესაძლოა მიუთითოს ასევე საკონტაქტო პირის მონაცემები;
- ცნობთ თუ არა სარჩელს და რა ნაწილში; ხოლო თუ არ ცნობთ, მაშინ რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება თქვენი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ; ასევე მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს თქვენ მიერ მითითებულ გარემოებებს;
- რა საპროცესო საშუალებებით აპირებთ სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ სარჩელის დასაშვებობას, ხომ არ გაქვთ აცილება მოსამართლის ან სასამართლოს მიმართ და ა.შ.
- ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად;
- რომელი მოწმე უნდა იქნას გამოძახებული სასამართლოს სხდომაზე და სხვა შუამდგომლობები;
- პასუხისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;
**- მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე;**
- პასუხს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ პასუხი სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს;
პასუხში სრულყოფილად და თანმიმდევრობით უნდა აისახოს მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ გარემოებას, ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით;
- მოპასუხე ვალდებულია პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპასუხეს ერთმევა უფლება შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები; მოპასუხე უფლებამოსილია მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა;
- მოპასუხე ვალდებულია თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ წარუდგინოს სასამართლოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. შესაგებელი უნდა პასუხობდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს;
- მოპასუხეს შეუძლია პასუხის შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონული ფოსტით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი, მოპასუხეს მასალებს უგზავნის ელექტრონული ფოსტით;
- სხვა სახის შუამდგომლობები.
4. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთში "24 საათი". საჯარო შეტყობინება განხორციელდეს მოსარჩელის ხარჯზე.

5. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**მოსამართლე: ჯ. ბეჟანიძე**

# განცხადება ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მის: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებელის გამზირი N141) აცხადებს ორეტაპიან ტენდერს ქ. ქობულეთში სანიაღვრე წყლების ანირების კონცეფციის შემუშავება-პროექტირების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1.** შესყიდვის ობიექტი - ქ. ქობულეთში სანიაღვრე წყლების ანირების კონცეფციის შემუშავება-დაპროექტება;

**2.** კონცეპტუალური პროექტის მიწოდების ვადაა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვე;

3. ტენდერის პირველ ეტაპზე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ პირველადი სატენდერო წინადადებები ღირებულებების მითითების გარეშე და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები 3 (სამი) ეგზემპლარად (ერთი დედანი და ორი ქსერო-ასლი, დამოწმებული ნოტარიულად)

4. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

*4.1. იურიდიული პირებისათვის:*

*ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;*

*ბ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით)*

*გ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი სამსახურიდან).*

*დ) ცნობას შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი ან მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;*

*ე) ორგანიზაციის მოგების და ქონების გადასახადების დეკლარაციები ბოლო ორი წლის 2007-2008წწ;*

*4.2. ფიზიკური პირებისათვის:*

*ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის შესახებ;*

*ბ) ცნობას შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;*

*g) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი სასამართლოდან)*

*4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი(ები)სათვის:*

*ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;*

*ბ) ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი პრეტენდენტი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტში;*

*გ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;*

*დ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ აუდიტორული დასკვნით;*

*ე) ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ (მომსახურების მითითება, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);*

*ვ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, მ.შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;*

*ზ) პრეტენდენტი პირების რეკვიზიტები (სახელწოდება, მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი გვარი, ასევე შესაბამისი უფლებამოსილი პირის-სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის მონაცემები პირადობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის მიხედვით, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონი/ფაქსი, მობილური, ელექტრონული ფოსტა --- e-mail).*

*შენიშვნა: ტენდერში მონაწილე პრეტენდენტ პირს, ბოლო ორი წლის განმავლობაში (2007-2008წწ) უნდა ჰქონდეს არანაკლებ 300000 (სამასი ათასი) ლარის ოდენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისათვის გაწეული მომსახურება. ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას შესაბამისი დოკუმენტის, ხელშეკრულებების და მიღება-ჩაბარების აქტების დართვით. ამასთანავე პრეტენდენტმა უნდა დაურთოს თითოეულ გაწეულ მომსახურებაზე დამკვეთის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურება, რომ შემსრულებელმა ჯეროვნად და ხარისხიანად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.*

*ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი პირის მიერ, მომსახურების გასაწევად, სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-4 მუხლის მიხედვით.*

*ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების შემდგომ პერიოდში.*

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე.

6. ინსტრუქცია პირველადი სატენდერო წინადადების შედგენის წესის შესახებ:

ა) პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე

ბ) პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად ერთი დახურული კონვერტით;

გ) პირველადი სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი უნდა იქნას ზოგადი პირობები და მონაცემები, წესები და მეთოდები, რომლის საფუძველზეც შემდგომში შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციისა და ტექნიკური პირობების დაზუსტება.

7. განაცხადი, პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე, დალუქული კონვერტით, უნდა წარმოდგინონ 3 (სამი) ეგზემპლარად (ერთი დედანი და ორი ქსერო-ასლი, დამოწმებული ნოტარიულად) სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 11 სექტემბერი 15:00 საათამდე, მისამართზე: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებელის გამზირი N141, მესამე სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილებაში. სატენდერო წინადადებ(ებ)ის გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით, სატენდერო წინადადების მიღების დასრულებისთანავე 2009 წლის 11 სექტემბერს 15:00 საათზე ზემოთაღნიშნულ მისამართზე.

8. სატენდერო კომისიაში შემოსულ პირველად სატენდერო წინადადებებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს დასკვნისათვის განიხილავს სატენდერო კომისია, რომლის დასკვნაც წარმოადგენს პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

9. ტენდერის პირველი ეტაპის დასრულების ვადას სატენდერო კომისია განსაზღვრავს პირველადი სატენდერო წინადადებების გახსნის შემდეგ, ხოლო პირველი ეტაპის შედეგები ეცნობება პირველადი სატენდერო წინადადებების წარმომდგენ ყველა პირს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

10. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით და შემოთავაზებული პირველადი სატენდერო წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იქნება კომისიის დადებითი დასკვნა.

11. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაცის გატანა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 10 სექტემბრის 18 საათამდე სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის გადახდისა და გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე: ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის 141, მე-3 სართული ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს ტენდერის პირველ ეტაპზე შემდეგ ანგარიშზე: მიმღების დასახელება: ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა (ს/კ 247001890) მიმღები ბანკი: ს.ს. "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი: 220101502; ანგარიში: 181589000. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსრულველ პირს ზემოთაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებელის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

12. სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო ვარიანტს პირველადი სატენდერო წინადადებების განხილვის შედეგად შეადგენს სატენდერო კომისია და გადასცემს მას პრეტენდენტებს (ზუსტი თარიღი დამატებით ეცნობებათ პრეტენდენტებს სატენდერო კომისიის დასკვნის შემდეგ).

13. პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადებებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენისა და მათი გახსნის შემდგომ, შერჩევისას დაზუსტებას არ ექვემდებარება სატენდერო წინადადების ფასი, ერთეულის ფასი, გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმების და საკვალიფიკაციო მონაცემები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საჭიროა საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალი დადასტურება და "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სატენდერო წინადადებაში გამოვლენილი აშკარა ტექნიკური უზუსტობები გასწორდება კანონის შესაბამისად.

14. ტენდერის მეორე ეტაპზე გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 1%-ის ოდენობით, გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

15. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

16. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

17. სატენდერო წინადადების მოქმედების მინიმალური ვადა უნდა იყოს სატენდერო წინადადებების პაკეტების გახსნის დღიდან არანაკლებ 30 (ოცდაათი) დღე. აღნიშნულის შესახებ უნდა მიეთითოს სატენდერო წინადადებაში.

18. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. Aალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

19. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, ტელ: 6-69-16; მობ: 897-80-00-77-დავით ნოღაიდელი;

სატენდერო კომისია
კომისიის თავმჯდომარე: ვასილ თავართქილაძე
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე მამია ხარაზი
კომისიის წევრები: ასლან ყურშუბაძე
ზაალ ბაჯელიძე
ემზარ ჯინჭარაძე
სულხან მოწყობილი
კომისიის მდივანი: ნათია ლორია
მოწვეული სპეციალისტები: იოსებ გუნთაიშვილი
ნუგზარ პაპუნიძე

## განცხადება

2009 წლის 13 ივლისის N156 გაზეთში "24 საათი" სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელის" მიერ კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებული და გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება: N147-1 შპს "სიმბოლ სტუდიოს"-თან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

"საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 10 აგვისტოს დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება სსიპ უსდ "ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯისთვის" უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს ვინაობა".

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია (მის 4600, ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ.№3) აცხადებს) ტენდერს, ქალაქ ქუთაისში მრავალსართულიანი ბინების ლიფტების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტია: ქალაქ ქუთაისში პეტრე იბერის ქუჩაზე საკრდენი კედლების მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა**

**სატენდერო დოკუმენტაციათა პაკეტში მითითებული იქნება ტექნიკური პარამეტრები და განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობა (დეფექტური ქმანები).**

2. დაფინანსების წყარო: **ქ.ქუთაისის 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი**

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა მოიცავს ხელშეკრულების გაფორმებიდან 70 კალენდარულ დღეს.

**მიწოდების ადგილია ქალაქი ქუთაისი.**

4. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად **(დედანი და ასლი)**, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 9 სექტემბერს 11 საათიდან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: 4600, ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №1, ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური (მე-4 სართული), სატენდერო კომისიის აპარატი, ოთახი №8. განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

**5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**5.1. იურიდიული პირისათვის**:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

დ) ცნობა შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს მიერ);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მინაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

**5.2. ფიზიკური პირისათვის**:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი.

**5.3. როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის**:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა სრულად გასტუმრებული ვადიანი გადასახადების შესახებ სახელმწიფოს წინაშე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საგადასახადო ინსპექციიდან)

დ) ინფორმაცია ანალოგიურ მიწოდებაზე გამოცდილების შესახებ, აღნიშნული პირის ანალოგიური შესყიდვის პროცედურების უკანასკნელი 3 წლის გამოცდილება შემდეგი მინაცემების წარმოდგენით:

| № | ანალოგიური მიწოდების ჩამონათვალი კონკრეტული ობიექტების მითითებით | შემსყიდველის დასახელება, რეკვიზიტები | ხელშეკრულების ღირებულება | მიწოდების წელი |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

ე) ტენდერში მონაწილე პირის სპეციალისტთა კვალიფიკაცია და გამოცდილება

| № | თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | მხოლოდ ანალოგიურ მიწოდებაზე გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

ვ) აუდიტის დასკვნა ტენდერში მონაწილე პირის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ზ) წერილობითი დასტური სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, მასზედ რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირი არ არის შესული შესყიდვაში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

თ) ინფორმაცია ქვე-კონტრაქტორების აყვანის შემთხვევაში, ქვეკონტრაქტორების მიერ გასაწევი მომსახურეობის შესახებ

**შენიშვნა:**

ა) ინფორმაცია წარმოდგენილ იქნას შემდეგი ცხრილის სახით

| | გასაწევი მომსახურების სახე | ქვე-კონტრაქტორის დასახელება, რეკვიზიტები | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური მომსახურეობის გაწევის გამოცდილება | შესრულების წელი და ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| 1. | | | | |
| | **და ა.შ** | | | |

**ბ)** ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური მომსახურეობის გაწევის გამოცდილების გრაფაში მითითებულ უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური მომსახურეობა.

**გ) ამ განცხადების მე-5 მუხლის მოთხოვნები ეხება ქვე-კონტრაქტორებსაც**

6. საკვალიფიკაციო ცნობები და მონაცემები შესაბამისი უწყებებიდან მიღებული უნდა იქნას მხოლოდ სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან მისი მიღების დასრულების ვადის და პერიოდის გათვალისწინებით.

7. სატენდერო მოსაკრებლის **200(ორასი) ლარის** გადახდის შემდეგ **(სატენდერო მოსაკრებლის ანგარიშია: მიმღების დასახელება-ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ქუთაისი, ანგარიშის №200122900, მიმღების ბანკი-სახელმწიფო ხაზინა, მიმღების კოდი-220101222, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი-300183174. გადახდის დანიშნულება-სატენდერო მოსაკრებელი),** მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2009 წლის 21 აგვისტოდან 8 სექტემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №1, ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური (მე-4 სართული), სატენდერო კომისიის აპარატი, ოთახი №8.

8. შესყიდვაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

9. დაგვიანებით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია და სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

10. სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას ტენდერში მონაწილის მიერ, ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.

11. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი წინადადება. ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია.

12. განცხადების 5.1, 5.2 და 5.3 პუნქტების მოთხოვნები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

13. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნების დიპლომატიური ორგანოებიდან, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

14. ტენდერი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, საკონტაქტო პირი ნოდარ მიქიაშვილი, მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №1 მე-4 სართ. ოთახი №8; ტელ 4-03-06; 4-01-64. ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური.

---

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. 2009 წლის 20 აგვისტოდან გამოცხადდეს ღია კონკურსი ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შემდეგი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად :

2.

ა) ბიოქიმიის მიმართულებით ასისტენტ პროფესორის ორ საშტატო ერთეულზე;

ბ) ნეიროფიზიოლოგიის მიმართულებით სრული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე;

გ) ნეირობიოლოგიის მიმართულებით ასისტენტ პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე;

დ) მოლეკულური ბიოქიმიიის მიმართულებით სრული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე.

ე) იხტიოლოგიის მიმართულებით ასისტენტ პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე.

ვ) ეკოლოგია, გეოგრაფიული მოდელირების მიმართულებით ასისტენტ პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე.

3. კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

4. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული ანკეტა ( შევსებული);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ)ოთხი ფოტოსურათი 3X4;

დ)შესაბამისი სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთის ასლი;

ე)ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კანდიდატის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის კვლევით უნარს;

ვ)ერთი სასწავლო კურსის სასწავლო გეგმა ( სილაბუსი);

ზ) სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატმა, გარდა ზემოაღნიშნულისა, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დისციპლინის სწავლების კონცეფცია საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე;

თ) კანდიდატს შეუძლია აგრეთვე წარმოადგინოს სხვა საბუთები, რომლებიც ადასტურებს მის შესაბამისობას ამ ბრძანების მე-5 მუხლში ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან;

5. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირს, კერძოდ:

ა) სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ან დოქტორის აკადემიური ხარისხი, ამასთან სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

გ) ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ან დოქტორის აკადემიური ხარისხი ან უნდა იყოს დოქტორანტი.

6. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა პირადი მონაცემების შეფასება მოხდება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობიდან შექმნილი კომისიის მიერ. გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები:

ა) კანდიდატის უნარი, მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე ასწავლოს კურსები შესაბამის სპეციალობაში;

ბ) პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება;

გ) სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო ათი წლის განმავლობაში);

დ) კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების ორგანიზების გამოცდილება;

7. საბუთების მიღება იწარმოებს ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატში. საბუთების მიღება დაიწყება 2009 წლის 15 სექტემბრიდან. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 15 ოქტომბერი. საკონკურსო საბუთების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების წარდგენის საბოლოო ვადაა 2009 წლის 25 ოქტომბერი.

8. საბუთები აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი აგრეთვე ელექტრონული ფორმით ( სამეცნიერო ნაშრომის ელექტრონული ფორმით წარმოდგენა არ არის აუცილებელი). საბუთების ელექტრონული ვერსია უნდა იქნეს მოწოდებული ან დისკით, ან გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე: uni@iliauni.edu.ge

**რექტორი გიგი თევზაძე**

# განცხადება

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

1. სამართლებრივი უზრუნველყოფის, რეგისტრაციისა და ნოტარიატის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული - თანამდებობრივი სარგო - 2070 ლარი;

2. სამართალშემოქმედების დეპარტამენტის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სამმართველოს მრჩეველი (II კატეგორია) - 1 საშტატო ერთეული - თანამდებობრივი სარგო - 950 ლარი.

*კონკურსის პირობები:*

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდეგ - კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.
კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.
კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატის ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე.

საკონკურსო-სატესტაციო კომისია კონკურსში მონაწილე კანდიდატს აფასებს და გადაწყვეტილებას იღებს "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჯარო მოსამსახურეთა კონკურსის და ატესტაციის ჩატარების წესისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 27 მაისის N100 ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

*საკვალიფიკაციო მოთხოვნები:*

***1. სამართლებრივი უზრუნველყოფის, რეგისტრაციისა და ნოტარიატის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი:***
- უმაღლესი იურიდიული განათლება;

- სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

*საკონკურსო თემატიკა:*
- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
- "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი;
- "უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონი;
- "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;
- "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 7 ნოემბრის N541 ბრძანებულება;
- "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის, რეგისტრაციისა და ნოტარიატის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 26 იანვრის N28 ბრძანება.

*საკვალიფიკაციო მოთხოვნები:*

**2. სამართალშემოქმედების დეპარტამენტის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სამმართველოს მრჩეველი (II კატეგორია):**

- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება;
- უცხოური ენა (სასურველია ინგლისური);
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

*საკონკურსო თემატიკა:*
- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;
- "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონი;
- "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონი;
- "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 7 ნოემბრის N541 ბრძანებულება;
- "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 17 მარტის N65 ბრძანება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. შრომის წიგნაკის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. ორი ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3X4);
5. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

საბუთები მიიღება განცხადების გამოქვეყნებიდან ორი კვირის განმავლობაში, 1000 სთ-დან 1700 სთ-მდე (შაბათ-კვირის გარდა), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის მოქალაქეთა მისაღებში მისამართზე: **თბილისი, გორგასლის 24.**

კონკურსს ატარებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.
კონკურსი ტარდება გასაუბრების ფორმით განცხადების გამოქვეყნების დღიდან არა უადრეს სამი კვირისა.
ყოველ კანდიდატს, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს ხუთი დღისა, წერილობით ეცნობება მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ.
კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.
კონკურსის თაობაზე ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში მისამართზე: თბილისი, გორგასლის 24; ტელ: 40-50-67, 40-50-14 (საქართველოს მთავარი პროკურატურის მოქალაქეთა მისაღები).

აღნიშნული განცხადება შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდებზე: **www.justice.gov.ge** (იუსტიციის სამინისტრო), **www.psb.gov.ge** (საჯარო სამსახურის ბიურო) და **www.jobs.gov.ge** (დასაქმება საჯარო სამსახურში).

საჯარო სამსახურის ბიურო

---

**საქმე N2-3**

**19 აგვისტო 2009 წელი ქ. გარდაბანი**

**გარდაბნის რაიონული სასამართლო**

**განჩინება**

გარდაბნის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ქეთინო ლუაშვილმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სს "თბილსრესის" ქონების მიმართ წარმოებულ "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი, რა დროსაც

გამოარკვია:

გარდაბნის რაიონული სასამართლოს წარმოებაში იმყოფება გაკოტრების საქმე სს "თბილსრესის" ქონების მიმართ.
2009 წლის 19 აგვისტოს გარდაბნის რაიონულ სასამართლოს მომართა სს "თბილსრესის" გაკოტრების მმართველმა დ. ჩაჩხიანმა და განმარტა, რომ 2005 წლის 10 იანვრიდან სს "თბილსრესის" ქონებაზე გახსნილია გაკოტრების საქმის წარმოება, 1996 წლის 25 ივნისის კანონის "გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ" შესაბამისად. აღნიშნული კანონის მოქმედება გაგრძელებული იქნა 2008 წლის 15 აგვისტომდე, 2008 წლის 15 აგვისტოდან კი მოქმედება დაიწყო კანონმა "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ".
სს "თბილსრესის" გაკოტრების მმართველმა დ. ჩაჩხიანმა მოითხოვა მოწვეულ იქნეს სს "თბილსრესის" გაკოტრების კრედიტორთა კრება, რომელზედაც განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

1. გაკოტრების მმართველის ანგარიში (2008 წლის აგვისტოდან 2009 წლის აგვისტომდე პერიოდში) გაწეული მუშაობის შესახებ;
2. 2009 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცება;
3. კრედიტორული მოთხოვნების განხილვა;
4. კრედიტორის - გ. ჭყოიძის განცხადების განხილვა;
5. სხვადასხვა საკითხები (ინფორმაცია აუქციონის გამოცხადების თაობაზე).

სასამართლო გაეცნო რა აღნიშნულ განცხადებას, მიაჩნია, რომ ამ საკითხის გადაწყვეტად საქართველოს კანონის "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" მიზანშეწონილია კრედიტორთა კრების მოწვევა.

"გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ვალდებულია მოიწვიოს კრედიტორთა კრება, რომელიც უნდა ჩატარდეს მიმართვიდან არაუგვიანეს 5 დღისა. ინფორმაცია მისი მოწვევის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს კრების ჩატარებამდე ამ კანონის 25-ე მუხლით დადგენილი წესით.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს კანონის "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 (5), 27-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე, 414-ე მუხლებით,

დაადგინა:

1. სს "თბილსრესის" "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" კრედიტორთა კრება მოწვეულ იქნეს 2009 წლის 24 აგვისტოს, 16.00 საათზე გარდაბნის რაიონულ სასამართლოში, სხდომის დარბაზი №1.
2. აღნიშნული განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები გამოქვეყნდეს ჟურნალ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში", ასევე დამატებით გამოქვეყნდეს გაზეთებში "საქართველოს რესპუბლიკა", "24 საათი" და ქვემო ქართლის რეგიონულ ტელევიზიაში; გამოქვეყნების ხარჯები დაეკისროს გაკოტრების მასას.
3. განჩინების გასაჩივრება არ დაიშვება.

მოსამართლე: ქ. ლუაშვილი

# საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

| № ლოტის | რეგიონალური სატყეო სამმართველო | სატყეო უბანი | ყოფილი სატყეო | კვარტლის № | საერთო ფართობი ჰა | საექსპლუატაციო ფართობი ჰა | მერქნიანი სახეობა | ჭრის სახე | სალიცენზიო ფართობზე სულ მოსაჭრელი მარაგი მ³ | სალიცენზიო ფართობზე მოსაჭრელი ლიკვიდური მარაგი მ³ | სამასალე მერქნის გამოსავლიანობა ლიკვიდური მერქნიდან % | სამასალე მ³ | საშეშე მ³ | საწყისი ფასი (ლარი) | ბე (საწყისი ფასის 20%) | ბიჯი (საწყისი ფასი 10%) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი | ამბროლაური | თხმორი | 22,23,26 | 660 | 149 | წიფელი | მთავარი სარგებლობა | 7450 | 6690 | 55 | 3680 | 3010 | 91 336 | 18 267 | 9 133 |
| | **სულ** | | | | **660** | **149** | | | **7450** | **6690** | | **3680** | **3010** | | | |
| 2 | რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი | ამბროლაური | ნიკორწმინდა | 6,8,9,10,11, 14,15,16,19, 20,21,23,24 | 1435 | 572 | წიფელი | მთავარი სარგებლობა | 17270 | 15540 | 55 | 8547 | 6993 | 794 184 | 158 837 | 79 418 |
| | | | | | | | სოჭი | | 75830 | 68220 | 75 | 51165 | 17055 | | | |
| | **სულ** | | | | **1435** | **572** | | | **93100** | **83760** | | **59712** | **24048** | | | |
| 3 | რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი | ამბროლაური | ურავი | 46,47,48,50 | 813 | 287.7 | წიფელი | მთავარი სარგებლობა | 11050 | 9950 | 55 | 5473 | 4477 | 235 321 | 47 064 | 23 532 |
| | | | | | | | სოჭი | | 13000 | 11660 | 75 | 8745 | 2915 | | | |
| | **სულ** | | | | **813** | **287.7** | | | **24050** | **21610** | | **14218** | **7392** | | | |
| 4 | რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი | ამბროლაური | ლიხეთი | 24,26,27,29, 30,31,32 | 890 | 379 | წიფელი | მთავარი სარგებლობა | 21110 | 18950 | 55 | 10423 | 8527 | 487 103 | 97 421 | 48 710 |
| | | | | | | | სოჭი | | 29770 | 26770 | 75 | 20078 | 6692 | | | |
| | **სულ** | | | **0** | **890** | **379** | | | **50880** | **45720** | | **30501** | **15219** | | | |
| 5 | რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი | ამბროლაური | ღვიარა | 16,19,20 | 413 | 243.2 | წიფელი | მთავარი სარგებლობა | 12440 | 11180 | 55 | 6149 | 5031 | 344 587 | 68 917 | 34 459 |
| | | | | | | | სოჭი, ნაძვი | | 25010 | 22500 | 75 | 16875 | 5625 | | | |
| | **სულ** | | | | **413** | **243.2** | | | **37450** | **33680** | | **23024** | **10656** | | | |
| 6 | კახეთი | თელავი | თელავი | 69-75 | 1127 | 64.7 | წიფელი | მთავარი სარგებლობა | 2800 | 2500 | 40 | 1000 | 1500 | 25 846 | 5 169 | 2 585 |
| | **სულ** | | | | **1127** | **64.7** | | | **2800** | **2500** | | **1000** | **1500** | | | |
| 7 | კახეთი | თელავი | წინანდალი | 26,28-37 | 2402 | 526.7 | წიფელი | მთავარი სარგებლობა | 25550 | 23000 | 40 | 9200 | 13800 | 239 951 | 47 990 | 23 995 |
| | | | | | | 14.1 | წიფელი | გავლითი | 429 | 365 | 20 | 73 | 292 | | | |
| | | | | | **2402** | **540.8** | | | **25979** | **23365** | | **9273** | **14092** | | | |
| 8 | კახეთი | ახმეტის | პანკისი | 25,32-38,50,51 | 1598 | 77.3 | წიფელი | მთავარი სარგებლობა | 6100 | 5500 | 60 | 3300 | 2200 | 81 153 | 16 231 | 8 115 |
| | | | | | **1598** | **77.3** | | | **6100** | **5500** | | **3300** | **2200** | | | |
| 9 | მცხეთა-მთიანეთი | თიანეთი | სიონი | 39,42-48 | 790 | 64.3 | წიფელი | მთავარი სარგებლობა | 2850 | 2570 | 50 | 1285 | 1285 | 51 329 | 10 266 | 5 133 |
| | | | | | | 98.3 | წიფელი | გავლითი | 3936 | 3149 | 20 | 629,8 | 2519,2 | | | |
| | | | | | | 3.7 | რცხილა | გავლითი | 146 | 117 | 10 | 11,7 | 105,3 | | | |
| | | | | | **790** | **166.3** | | | **6932** | **5836** | | **1926.5** | **3909.5** | | | |
| 10 | შიდა ქართლი | ხაშური | ძამა | 1-5,7-30, 33-42 | 5681 | 173 | ნაძვი | მთავარი სარგებლობა | 6610 | 5944 | 80 | 4755 | 1189 | 275 332 | 55 066 | 27 533 |
| | | | | | | | სოჭი | | 2180 | 1962 | 80 | 1570 | 392 | | | |
| | | | | | | | წიფელი | | 7860 | 7074 | 50 | 3537 | 3537 | | | |
| | | | | | | 175.8 | ფიჭვი | გავლითი | 157 | 142 | 80 | 114 | 28 | | | |
| | | | | | | | ნაძვი | | 5719 | 5140 | 80 | 4112 | 1028 | | | |
| | | | | | | | სოჭი | | 1977 | 1781 | 80 | 1425 | 356 | | | |
| | | | | | | | წიფელი | | 4977 | 4487 | 45 | 2019 | 2468 | | | |
| | | | | | **5681** | **348.8** | | | **29480** | **26530** | | **17532** | **8998** | | | |
| 11 | სამცხე-ჯავახეთი | ადიგენი | უტყისუბანი | 10-13,15-18, 21-26,28,29 | 2571 | 60.8 | სოჭი | მთავარი სარგებლობა | 5630 | 5067 | 70 | 3550 | 1517 | 40 720 | 8 144 | 4 072 |
| | | | | | **2571** | **60.8** | | | **5630** | **5067** | | **3550** | **1517** | | | |
| 12 | იმერეთი | საჩხერე | ცხამი | 6,7,8,13,15, 16,22 | 963 | 175.3 | წიფელი | მთავარი სარგებლობა | 15520 | 13970 | 50 | 6985 | 6985 | 183 008 | 36 602 | 18 301 |
| | | | | | | 20.3 | | გავლითი | 686 | 615 | | 308 | 307 | | | |
| | **სულ** | | | | **963** | **195.6** | | | **16206** | **14585** | | **7293** | **7292** | | | |
| 13 | მცხეთა-მთიანეთი | დუშეთი | მაღაროსკარი | 1-5,13-16 | 1575 | 157.9 | წიფელი | მთავარი სარგებლობა | 6340 | 5700 | 60 | 3420 | 2280 | 84 105 | 16 821 | 8411 |
| | | | | | **1575** | **157.9** | | | **6340** | **5700** | | **3420** | **2280** | | | |
| 14 | სამეგრელო-ზემო სვანეთი | ხაიში | ხუბერი | 47,48,52,54 | 369 | 69 | წიფელი | მთავარი სარგებლობა | 850 | 765 | 40 | 306 | 459 | 122 327 | 24 465 | 12 233 |
| | | | | | | | სოჭი, ნაძვი | | 14900 | 13410 | 75 | 10058 | 3352 | | | |
| | **სულ:** | | | | **369** | **69** | | | **15750** | **14175** | | **10363.5** | **3811** | | | |
| 15 | სამეგრელო-ზემო სვანეთი | ხაიში | ხუბერი | 6,7,8,17,23, 24 | 723 | 9.7 | წიფელი | მთავარი სარგებლობა | 880 | 790 | 50 | 395 | 395 | 27 578 | 5 516 | 2 758 |
| | | | | | | 33.7 | სოჭი, ნაძვი | | 2300 | 2070 | 75 | 1553 | 517 | | | |
| | **სულ:** | | | | **723** | **43.4** | | | **3180** | **2860** | | **1948** | **912** | | | |

| ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო |
|---|---|
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. ჭანტურის ქ.№12 .<br>ტელ: 92 31 73, 99 11 29<br>აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 21 აგვისტოდან 18 სექტემბრის ჩათვლით 5 საათამდე. აუქციონი ჩატარდება ა/წ 22 სექტემბერს 12 საათიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შენობაში. |
| ბიჯი შეადგენს საწყისი ფასის 10%-ს | |
| სალიცენზიო მოსაკრებელი | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს თითოეულ ობიექტზე სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. მოსაკრებელი შეადგენს **200** ლარს.<br>**სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი), ანგარიშის ნომერი **200122900**, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **220101222**, სახაზინო კოდი: **300773069** |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს "ბე"-ს გადახდის ქვითარი | **„ბე"-ს გადახდის ანგარიში:** ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: **200122900**, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **220101222**, სახაზინო კოდი: **302005000** |
| ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე (სასურველი ლოტის მითითებით).<br>ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი.<br>ბ)ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები.<br>გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე) „ბე"-ს გადახდის ქვითარი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის ვადა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ" დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად.<br><br>მოცემული დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

სალიცენზიო პირობები და სარგებლობისათვის განსაზღვრული მოთხოვნები:

1. ლიცენზიანტმა განახორციელოს ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვა:
2. დაიცვას ლიცენზიით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია უკანონო ტყითსარგებლობისაგან;
3. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღკვეთოს და შესაბამის ორგანოებს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია ლიცენზიით განსაზღვრულ

ტერიტორიაზე უნებართვო საქმიანობისა და სამართალდარღვევის ფაქტების შესახებ;
4. შეიმუშაოს ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვის მექანიზმები და შესაბამისი ინფორმაცია წარადგინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღისა.
5. ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 12 თვისა, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში დასამტკიცებლად წარადგინოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შედგენილი ტყით სარგებლობის გეგმა, რომელსაც უნდა ერთვოდეს მოკლე ანოტაცია. ტყით სარგებლობის გეგმის დამტკიცებამდე ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ნებადართულია მხოლოდ საქმიანობა ტყის დაცვის მიზნით და არ დაიშვება ლიცენზიანტის მიერ ხე-ტყის მოპოვება და სხვა სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება;
6. უზრუნველყოს დამტკიცებული ტყით სარგებლობის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება;
7. ლიცენზიის ნაწილის გასხვისებისას, ლიცენზიის გასასხვისებელი ნაწილით განსაზღვრული ტერიტორია არ უნდა იწვევდეს ტყის მასივის (კორომის) დანაწევრებას და არ უნდა არღვევდეს სატყეო კვარტლების საზღვრებს;
8. ლიცენზიის ან ლიცენზის ნაწილის გასხვისებისას, ტყით სარგებლობის ახალი გეგმის (გეგმების) დამტკიცებამდე ლიცენზიის გამსხვისებელმა და ლიცენზიის შემძენმა უნდა მოახდინონ შესაბამისი ფართობის გადაბარება მიღება-ჩაბარების აქტით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით, ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის გადაბარებამდე ლიცენზიის გამსხვისებელმა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოს დაცვის ინსპექციას უნდა წარუდგინოს ანგარიში გაწეული სამუშაოების შესახებ. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ლიცენზიის გამსხვისებელს;
9. ლიცენზიის ნაწილის გასხვისების შემთხვევაში ლიცენზიანტები წარმოადგენენ ახალ ტყით სარგებლობის გეგმას (გეგმებს). ახალი ტყით სარგებლობის გეგმის (გეგმების) დამტკიცებამდე ლიცენზიით განსაზღვრულ ფართობზე ხე-ტყის დამზადება და სხვა სატყეო-სამეურნეო საქმიანობა არ დაიშვება;
10. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოყოს ტყეკაფები;
11. მასალები შესათანხმებლად წარადგინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სატყეო დეპარტამენტის რეგიონულ სატყეო სამმართველოში და ჭრები განახორციელოს ტყეკაფის მასალების მასთან შეთანხმებისა და ტყეკაფის ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;
12. ტყეკაფის ათვისების ვადად განისაზღვრება კალენდარული პერიოდი ტყეკაფის ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უმეტეს ორი წელიწადი;
13. მომდევნო ტყეკაფების ათვისება დასაშვებია მხოლოდ წინა პერიოდში გამოყოფილი ტყეკაფის ათვისებისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ათვისების თაობაზე ინფორმაციის წარდგენის შემდეგ;
14. უზრუნველყოს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის ღონისძიებების განხორციელება;
15. ტყეში სამუშაოების ჩატარებისას გამოიყენოს ეკოლოგიური თვალსაზრისით მისაღები მანქანა-იარაღები და ტექნოლოგიები;
16. უზრუნველყოს ბიომრავალფეროვნების დაცვა და შექმნას მისი მდგრადი გამოყენების პირობები:
17. დაიცვას ბიომრავალფეროვნება საქმიანობის შედეგად გამოწვეული დაბინძურებისაგან;
18. არ დაუშვას უცხო (ინვაზიური) სახეობებისა და გენეტიკურად მოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების გავრცელება და/ან გამოყენება ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე საქმიანობის დროს;
19. საქმიანობამ არ უნდა გამოიწვიოს ეკოსისტემის ფრაგმენტაცია, ტყეების ბუნებრივი იერსახის ცვლილება, სახეობრივი მრავალფეროვნების გაღარიბება;
20. არ დაუშვას გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალების, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების გაუარესება;
21. სამასალე ხე-ტყის პირველადი გადამუშავება (პროცესი, რომლის შედეგადაც მიიღება შემდეგი პროდუქცია – ხე-ტყის გადამუშავების შედეგად მიღებული ფიცარი (ჩამოგანული ან ჩამოუგანავი), ძელი, ძელაკი, შპალი, საპარკეტე ფრიზა, დაპობილი სათბობი შეშა, შავად ნამზადი დეტალი) სრულად განახორციელოს საქართველოს ტერიტორიაზე;
22. უზრუნველყოს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული იშვიათი, საფრთხის ქვეშ და გადაშენების პირას მყოფი, საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი, ენდემური და რელიქტური სახეობებისა და მათი საბინადრო გარემოს დაცვის ღონისძიებები;
23. დაიცვას წყალდაცვითი ზოლის რეჟიმი;
24. უზრუნველყოს მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების დაცვა. მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების მდგრადი მართვისა და დაცვის გზით უნდა შენარჩუნდეს ან გაუმჯობესდეს აღნიშნული ტყეების ძირითადი მახასიათებლები. ლიცენზიანტის მიერ უნდა იყოს დოკუმენტირებული, თუ როგორ ხდება მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების დაცვის უზრუნველყოფა;
25. გაატაროს ტყის მოვლის, მავნებელ-დაავადებებისა და ხანძრებისაგან დაცვისა და ტყის აღდგენის ღონისძიებები, რის უზრუნველსაყოფადაც განახორციელოს მუდმივი მონიტორინგი. მავნებელ-დაავადებების მასობრივად გავრცელების ან/და ტყის ხანძრის შემთხვევაში ინფორმაცია ოპერატიულად მიაწოდოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს;
26. მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებისას ლიცენზიანტი ვალდებულია დაასაბუთოს მათი გამოყენების აუცილებლობა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში შესათანხმებლად წარადგინოს დასახული ღონისძიებების გეგმა. მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების გამოყენება უნდა იყოს დასაბუთებული და დოკუმენტირებული;
27. პესტიციდების ნარჩენები არ შეიძლება განთავსებულ იქნეს სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის ტერიტორიაზე;
28. ხელი არ შეუშალოს მოსახლეობას (სამასალე და საშეშე მერქნის გარდა) უსასყიდლოდ მოაგროვოს ხილ-კენკროვანები, თხილი, სოკო, სამკურნალო მცენარეები და ტყის სხვა პროდუქტები, გარდა „წითელ ნუსხაში" შეტანილი სახეობებისა), ასევე ტურისტულ-რეკრეაციული მიზნებისათვის მოსახლეობის ყოფნას ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე და სხვა ტრადიციული ღონისძიებების განხორციელებას;
29. ისტორიული, რელიგიური და კულტურული ობიექტების გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებს, უზრუნველყოს სატყეო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მათი დაზიანებისაგან დაცვა;
30. ხელი არ შეუშალოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელებას;
31. ხელი არ შეუშალოს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტების (მაგისტრალური გაზსადენი, მაღალი ძაბვის გადამცემი ანძები და სხვა) განხორციელებასა და ფუნქციონირებას;
32. ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე წარმოებულ სატყეო-სამეურნეო საქმიანობაში დასაქმებული პერსონალის არანაკლებ 80%–ს უნდა წარმოადგენდეს ადგილობრივი მოსახლეობა (იმ ტერიტორიული ერთეულების – მუნიციპალიტეტების, რომელსაც მოიცავს ლიცენზია);
33. მომუშავე პერსონალთან (ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთან) გააფორმოს შრომითი ან/და მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულებები სამუშაოს აღწერილობით, დაქირავებულთა საცხოვრებელი ადგილის მითითებით. შემოწმებისას, მოთხოვნისთანავე წარუდგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია შემმოწმებელს;
34. ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვის ან დადგენილ ვადამდე ლიცენზიის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ლიცენზიით სარგებლობაში გადაცემული ტერიტორია მიღება-ჩაბარების აქტით უბრუნდება ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოს .

| | |
|---|---|
| **გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები** | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის მოთხოვნებსა და პირობებს და რომელიც ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |
| **გამარჯვებულის მიერ სააუქციონე მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში მასზე გავრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა** | |


**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის პედიატრიული სამსახური**

**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან ბარაბაძის ხელმძღვანელობით გთავაზობთ:**

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე**
**მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

# განცხადება სარემონტო სამუშაოების ტენდერის ჩატარების შესახებ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს, სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე (5 ლოტი) და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

| ლოტი № | სამუშაოს მოკლე აღწერილო | სამუშაოების დამთავრების ვადა |
|---|---|---|
| 1. | თსსუ ადმინისტრაციული კორპუსის II სართულზე 6 ოთახის სარემონტო სამუშაოები, I სასწავლო კორპუსის III სართულზე ჭერის დაზიანებული ადგილების შეკეთება (ვაჟა ფშაველას გამზ. №33). | 40 დღე |
| 2. | თსსუ ა. ურუშაძის სახელობის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის დაზიანებული სახურავის რემონტი (დ. აღმაშენებლის გამზ. №126). | 30 დღე |
| 3. | თსსუ ა. ურუშაძის სახელობის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის IV სართულის გამაგრებით-სარემონტო სამუშაოები, II სართულზე ერთი ოთახის რემონტი (დ. აღმაშენებლის გამზ. №126). | 40 დღე |
| 4. | თსსუ ა. ურუშაძის სახელობის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის შენობის საძირკველის გამაგრებითი სამუშაოები, არსებული პროექტის მიხედვით (დ. აღმაშენებლის გამზ. №126). | 60 დღე |
| 5. | თსსუ №1 ბავშვთა სტომატოლოგიური კლინიკის შენობის სარდაფში სავენტილაციო სისტემის მოწყობა; ფასადის ვიტრაჟებში 11 (თერთმეტი) ერთეული მეტალო-პლასტმასის ფანჯრების დამზადება-მონტაჟი (უზნაძის ქ. №2). | 20 დღე |

სამუშაოს დეტალური აღწერა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში. ტენდერის ჩატარების შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 10 სექტემბრის 12 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0177, საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, თსსუ-ს ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი №319. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე (II სართული, ოთახი №225) 2009 წლის 10 სექტემბერს 16 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე:
მიმღები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ს/კ 211328703
„თი-ბი-სი“ ბანკის მარჯანიშვილის ფილიალი, კოდი 220101850, ა/ა №609229.
გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, სარემონტო სამუშაოები.

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 10 სექტემბერს 16 საათამდე ზემოაღნიშნულ მისამართზე.

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით:

იურიდიული პირისთვის:
- ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ფიზიკური პირისთვის:
- ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისთვის:
- ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;
- ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;
- დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოს გამოცდილების შესახებ ბოლო 2 წლის განმავლობაში. (შესრულებული სამუშაოებისა და მათი ღირებულების მიხედვით);
- ე) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- ვ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას იურიდიულ მისამართს, ტელეფონს, ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელსა და გვარს;

*შენიშვნა:* *ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სამუშაოს შესრულების პროცესში მონაწილე სუბკონტრაქტორებს.*

*არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიალურად დამოწმებული, თარგმნის სახით.*

*საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია და სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს სამ ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, ხოლო ორი-ასლი).*

*ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, სატენდერო წინადადების საერთო ფასის 1%-ს ოდენობით.*

*სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი, სახელშეკრულებო ღირებულების 2%-ს ოდენობით.*

ტენდერის დროს გამოვლენილმა გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი სამუშაოების შესრულება ამ განცხადებაში განსაზღვრულ ვადებში.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში. დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ სატენდერო აპარატს ზემოთ აღნიშნულ მისამართზე. საკონტაქტო ტელ: 54-24-59.

*სატენდერო კომისია*

## შპს “საქართველოს რკინიგზა” 2009 წლის 21 აგვისტოდან აცხადებს ტენდერს ფიჭური კავშირგაბმულობის ოპერატორის მომსახურების შესყიდვის შესახებ

შპს “საქართველოს რკინიგზა” (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს **ფიჭური კავშირგაბმულობის ოპერატორის მომსახურების** შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი “რესპუბლიკა” ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

**სატენდერო დოკუმენტაცია** და **ტექნიკური დავალება** (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის **21 აგვისტოდან** 2009 წლის **10 სექტემბერის** ჩათვლით **სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის** წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს “საქართველოს რკინიგზის” შესყიდვების სააგენტო.

**2.** შესყიდვის ობიექტი :

| ლოტის № | მომსახურების დასახელება |
|---|---|
| | |
| 1 | GSM-მობილური ტელეფონის ოპერატორის მომსახურეობა |

**3. მომსახურების გაწევის ვადა:** ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის განმავლობაში;

**4.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ *(დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე)* ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 10 სექტემბერის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს “საქართველოს რკინიგზის” შესყიდვების სააგენტო.

**5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირებისათვის :**

**1.** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, *რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;*

**2.** ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, *რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;*;

**3.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.

**4.** ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული სერვისების გარდა სხვა დამატებით შემოთავაზებული სერვისების შესახებ ინფორმაცია (ასეთების არსებობის შემთხვევაში).

6. **ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :**

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება და სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. **(არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)**

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **დღგ–ს გარეშე**; უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;

3. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს “საქართველოს რკინიგზის” შესყიდვების სააგენტოში, ტელ **56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი;** (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

სატენდერო კომისია

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო აცხადებს ტენდერს სამშენებლო- სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

## დაფინანსების წყარო-სახელმწიფო ბიუჯეტი

1. ს.ს.ი.პ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №84) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე 1 ლოტად.
შესყიდვის ობიექტი:
ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №84 მდებარე ს.ს.ი.პ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შენობაში სერვისცენტრის მოწყობისთვის შესასრულებელი სამშენებლო–სარემონტო სამუშაოები.
2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
3. სამუშაოების დასრულება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან არაუგვიანეს 70 კალენდარულ დღეში.
4. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) 2009 წლის 10 სექტემბრის 09:00 საათიდან 15:00 საათამდე მე-18 პუნქტში მითითებულ მისამართზე.
5. საკვალიფიკაციო მოინაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
5.1 იურიდიული პირებისათვის:
ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
ბ) ცნობა შესაბამისი საქალაქო სასამართლოდან, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ;
გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
5.2 ფიზიკური პირებისათვის:
ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:
ა) პრეტენდენტის დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;
გ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ;
6. პრეტენდენტის მიერ ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში, ავანსის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს განსახორციელებელი სამუშაოების ღირებულების 15%-ს და პრეტენდენტი ვალდებული იქნება წარმოადგინოს მოთხოვნილი თანხის ოდენობის საბანკო გარანტია.
7. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტია (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას).
8. სატენდერო წინადადება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

| № | შეფასების კრიტერიუმი | პრიორიტეტულობის კოეფიციენტი |
|---|---|---|
| 1 | სატენდერო წინადადების ღირებულება | 1,00 |
| | სულ | 1,00 |

9. სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე თუ პრეტენდენტი მე-4 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-5 და მე -7 პუნტში მოთხოვნილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, თუ რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული არ იქნება შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაცია მე-8 პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.
10. თუ წინამდებარე შესყიდვის ფარგლებში, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბკონტრაქტორების ჩართვაც, მაშინ, სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტის მოთხოვნები სავალდებულო იქნება ასევე ყველა სუბკონტრაქტორისათვის.
11. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების დროს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.
12. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება მე-5 და მე-7 პუნქტებში აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია.
13. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს შეეძლებათ (მე-17 პუნქტში აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) 2009 წლის 21 აგვისტოს 10:00 საათიდან 9 სექტემბრის 18:00 საათამდე, სამუშაო დღეებში, შემდეგ მისამართზე: ს.ს.ი.პ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №84 მე-4 სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.
14. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.
15. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 10 სექტემბერს 15:00 საათზე.
16. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.
17. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი—200 ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები—ს.ს. „ბაზისბანკი", ბანკის კოდი 220101956, ანგ№234294. გადახდის დანიშნულება—სატენდერო მოსაკრებელი, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, ს.ს.ი.პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

18. შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ს.ს.ი.პ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სატენდერო კომისიის აპარატში. მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №84 მე-4 სართული.
საკონტაქტო პირი: ზვიად გაბისონია, ტელ: 899 67 87 79, მალხაზ კალანდაძე ტელ: 899 49 87 85 (სამშენებლო სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით)

19. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ პრეტენდენტის რეგისტრაციის მიხედვით შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური სტრუქტურებიდან. ამასთან ორიგინალ დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

## საქმე N2/2587-08
## თბილისის საქალაქო სასამართლო
## განჩინება

**გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ**

**17 აგვისტო 2009 წ. თბილისი**

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**
**მოსამართლე ეკატერინე ცისკარიძე**

განიხილა სს "ენერგია XXI"-ს გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ საკითხი და

**გამოარკვია:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია კავშირი (ასოციაცია) "საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის" განცხადება სს "ენერგია XXI"-ს გადახდისუუნარობის შესახებ.

2009 წლის 19 ივნისს გამართულ სასამართლო სხდომაზე არჩეული იქნა მომრიგებელი საბჭო ნიკოლოზ ბაკაშვილის, როინ მიგრიაულის და მირანდა გურგენიძის შემადგენლობით და "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, დაევალათ 30 დღის განმავლობაში გადახდისუუნარობის საკითხის შესწავლა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

2009 წლის 04 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მიმართეს მომრიგებელი საბჭოს წევრებმა და წარმოადგინეს სს "ენერგია XXI"-ს მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილება სს "ენერგია XXI"-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ.

სასამართლო გაეცნო სს "ენერგია XXI"-ს მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილებას, მიაჩნია, რომ უნდა დაიწყოს სს "ენერგია XXI"-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება შემდეგ გარემოებათა გამო:

"გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მომრიგებელი საბჭო მოვალის გადახდისუუნარობის საკითხს სწავლობს შექმნიდან 30 დღის განმავლობაში. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მომრიგებელი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: გაკოტრების შესახებ, რეაბილიტაციის შესახებ ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. იმავე კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, გაკოტრების საქმის წარმოება იწყება მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად სასამართლოს მიერ გაკოტრების შესახებ გამოტანილი განჩინების გამოქვეყნებიდან.

სასამართლომ იხელმძღვანელა "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების" შესახებ საქართველოს კანონის 25-ე, 33-ე, 36-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

დაიწყოს სს "ენერგია XXI"-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება;

განჩინება გამოქვეყნდეს "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში", "გაზეთ 24 საათში", გაზეთ "სიტყვა და საქმეში" და სასამართლოს დაფაზე;

გაკოტრების მმართველის დანიშვნის მიზნით მოწვეულ იქნას კრედიტორთა კრება 2009 წლის 24 აგვისტოს, 11.00 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6, დარბაზი №20);

განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი განჩინების მხარეთათვის გადაცემიდან 5 დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

**მოსამართლე: ე. ცისკარიძე**

## ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტი ქალის ჯანმრთელობაა ! თავი დაიცავით სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეებისგან ! ! !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარძევე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდებათ 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდებათ 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს" მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.

გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩაწერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20
(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)

**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;**